ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



www.ilori.ge

№ 81 (142) 24 აგვისტო 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი



## მელანქოლიური შენიშვნები

გერონტი ქიქოძე

2

## ლეონ მეორე აფხაზი

ლოვარდ ტუხაშვილი

5

გაზეთი "ილორი" უძღვნება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"



ანტონიო კარბახალი კარეკა ჯონი კარი

12



## მეგრული პოეზიის რაფსოდია

პოეტი ლაშა ბახარია

5

## ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

მეგრული „ნაციონალიზმი" ანუ შეთქმულება ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ

10 გიორგი ხუფენია

## ივანე ჯავახიშვილი ქართველ ერის ისტორია



*ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პ.ი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.*

9

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობა" და გაზეთი "ილორი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა აფხაზი ერის ღირსეული შვილი, აფხაზ დიდებულ მარშანიათა ბრწყინვალე გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორც ქართველი, ისე აფხაზი ერისათვის ერთნაირად საყვარელი და სათაყვანებელი პიროვნება

### ლორიკ მარშანია



სამძიმარს ვუცხადებთ რა განსვენებულის ოჯახს, გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ვერც ქართველები და ვერც აფხაზები ვერასოდეს შეივსებენ ამ მძიმე დანაკარგით გამოწვეულ სულიერ სიცარიელეს, მაგრამ ლორიკ მარშანიას დაუოკებელი სურვილის აღსრულება – კვლავ ერთ ოჯახად ეხილა ქართველი და აფხაზი ხალხი, იქნება ის ხელთუქმნელი ძეგლი, რომელიც სამუდამოდ დაამშვენებს ამ დიდებული აფხაზი ვაჟკაცის და დიდი მეცნიერის საფლავს!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მელანქოლიური შენიშვნები

*გერონტი ქიქოძის (1886-1965) ანალიტიკური ესსე „მელანქოლიური შენიშვნები" ქართველთა ისტორიული ბედისწერის მტკივნეულ პრობლემას ეხება. ავტორი ვრცლად საუბრობს თანამედროვე მსოფლიოში ჩვენი ერის როლისა და ადგილის შესახებ.*

*საგულისხმოა, რომ ქვემოთ მოტანილი წერილი თითქმის ასი წლის წინათ დაიწერა და გამოქვეყნებულია 1915 წელს.*

*ვფიქრობთ, უბადლო ესთეტისა და მოაზროვნის ეს ქმნილება კიდევ ერთხელ დააფიქრებს სხვათა მოიმედედ მყოფ ჩვენს საზოგადოებას.*

ჩვენ, ქართველებს, ნათესავები არა გვყავს დედამიწის ზურგზე. ეს ძალიან უცნაური მოვლენაა, ყოველი ხალხი რომელიმე ოჯახს, რომელიმე რასსას ეკუთვნის. ყველას ჰყავს ან ძმა, ან ბიძაშვილი, ან შორეული მოკეთე. ინდოელები, სპარსელები, ქურთები ევროპიელების შორიახლობელი ნათესავები არიან. გერმანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, სკანდინელები ერთს ვიწრო ოჯახს შეადგენენ. მეორე ასეთი ოჯახი რომანელებია, მესამე — სლავიანები.

**ჩვენ რომელ რასსას ვეკუთვნით? ეს არავინ იცის. ჩვენ არა ვართ ეთიოპები, უეჭველია, მაგრამ, თეთრი კანის მიუხედავად, არც ინდოევროპიელები ვართ, არც სემიტები, უდედმამოთ გაჩენილ, ციდან ჩამოვარდნილ არსებას ვგევართ. ჩვენი ენა საოცრად განსხვავდება ყველა ცნობილ ენისაგან: თავისებურია მისი ლექსიკონიც, მისი სინტაქსიც, მისი ფონეტიკაც. და ენა რომ სულის გარეგნული სახეა, მაშასადამე, თავისებურია ჩვენი ხასიათიც, ჩვენი მგრძნობიარობა და აზროვნებაც.**

მეცნიერები, რომელნიც ყველაზე მეტად კლასიფიკაციას აფასებენ და საშინლად იტანჯებიან, როცა რაიმე განკერძოებულ და გაუგებარ მოვლენას ამჩნევენ, ამტკიცებენ, რომ ქართველებსაც გვყავდა ახლობელი ნათესავები, მაგრამ დავკარგეთ ჟამთა მსვლელობაში. ესენი ყოფილან ძველი სომხები, ელამიტები, ხეთები, ურართელები, ალაროდილიები ან კიდევ ეტრუსკები, ბასკები და სხვები. მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ ეს ტომები ან სრულიად მოსპობილან, ან კიდევ სრულიად შეცვლილან. თანამედროვე სომხობას ჩვენთან ბევრი აღარაფერი აქვს საერთო არც გარეგნობასა, არც ენასა, არც მწერლობაში. სხვებიდან კი თითქმის არაფერი დარჩენილა, გარდა რამდენიმე ლურსმულ წარწერისა, იეროგლიფისა თუ რებუსისა, რომელიც ჯერ არავის წაუკითხავს და რამდენიმეთაღიან გვირაბისა, რომელიც კიდევ არ კმარა რასსიულ ნათესაობის დასამტკიცებლად. ყოველს შემთხვევაში, ქართველი ერი ჯერჯერობით მარტოდ-მარტო სდგას, როგორც ცოცხალი ნიმუში უცნობი, გარდასული რასსისა, რომელიც შეიძლება სადმე შორეულს საფლავებში სთვლემდეს.

მაგრამ განა ცოცხალს არსებას უთვისტომოთ ყოფნა შეუძლიან? მთელი ჩვენი ისტორია სულიერი ნათესავის ძიებაა. ძნელად მოიპოვება ერი, რომელიც ასე მოტყუებულიყოს თავის საუკეთესო იმედებში.

ოდესღაც შუამდინარეთში გვიცხოვრია და ტიგროსის თუ ეფრატის ტალღების ხმა მოგვისმენია. უხვად გვისვამს სამხრეთის ცხოველი მზე და უდაბნოების სუნთქვა გვიყნოსია. მაგრამ იქიდან ძლიერმა და მრავალრიცხოვანმა მეზობლებმა გამოგვრეკეს; არ დაგვაცალეს არც კაპადოკიის ხევებში, არც მცირე აზიის მაღლობებზე. და თუ დღემდე ჩვენს ახლანდელს სამშობლოს შევრჩით, ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ მეტი გასაქანი აღარ გვქონდა: ჩრდილოეთით გარდაუვალი მთები გვეკრა, დასავლეთით — ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი მტრით დასახლებული ადგილები ან ერთფეროვანი უდაბნოები.

არა ერთხელ გაგვიწოდებია ხელი ბიზანტიელებისთვის, მაგრამ განა იმათ სავსებით ჩვენი გაგება შეეძლოთ? ჩვენ ჭაბუკები ვიყავით, ისინი — ხანშიშესულები; ჩვენ რაინდები ვიყავით, ისინი — კარისკაცები. ჩვენ გვიყვარდა ცხოველი სარწმუნოება, იმათ — თეოლოგია; ჩვენ გვიყვარდა ფერადი ცხოვრება, იმათ — განყენებული აბსტრაქცია. ჩვენშიც მოდიოდნენ ბიზანტიელი პრინცესები და ჩვენშიც მოჰყავდათ ბიზანტიელი ხუროთმოძღვრები და მხატვრები, მაგრამ ეს ადამიანები სრულებით იცვლებოდნენ, თითქო ხელახლა იბადებოდნენ საქართველოს ნიადაგზე. აქ ისინი უფრო ახალგაზრდანი ხდებოდნენ, უფრო მხიარულნი: კუნთების ძალასაც იძენდნენ და სულის მოქნილობასაც, თითქო ჩვენი ცხრა-თვალა მზე ადნობდა მათ მელანქოლიას, თითქო ჩვენი ნაზი ჰავა მათ სიმსუბუქეს აძლევდა, ქუთაისის ტაძარიც ბიზანტიელმა ოსტატებმა შეამკეს და კიევის წმინდა სოფიაც და ლავრაც: ერთმა და იმავე იმპერატორმა გამოუგზავნა კონსტანტინეპოლიდან ხუროთმოძღვრები ბაგრატ მეოთხესა და იაროსლავს, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ქართულ და რუსულ ძეგლებს შორის! კიევის ეკლესიები სულმოკლე ასლებია ბიზანტიური ნიმუშებისა. მათი ფასადები უსახურია; მათი კორპუსები ტლანქი და დამძიმებული. მათ აკლიათ სიდიადე. სიდიდის მიუხედავად, ბაგრატის ტაძარი, პირიქით, განუმეორებელია. მისი პროპორციები ზომიერი და კეთილშობილია, მისი კონტურები ელეგანტური და გრანდიოზული. ბიზანტიელებს ბრმად არც მხატვრობასა და ქანდაკებაში ვბაძავდით. მათ მოზაიკა უყვარდათ, რადგან მოთმინების ადამიანები იყვნენ, ჩვენ ფრესკებს ვაძლევდით უპირატესობას, რადგან მეტი ემოცია და ფანტაზია გვქონდა. ჩვენი შენობების კედლებზე ნაკლები ადგილი ჰქონდა გამხდარ, დაგრძელებულ და გაშეშებულ წმინდანებს, განა ბეთანიის ანტიმოთეს უბნის ფრესკები ბიზანტიური ნიმუშების ასლები არიან? რომელ ბიზანტიელ მხატვარს შეეძლო ამდენი გულუბრყვილობის და შეუგნებული სიბრძნის გამოჩენა? რომელ ბიზანტიელ მხატვარს შეეძლო ამდენი სულიერი სიცოცხლის და მოძრაობის გადმოცემა? მხოლოდ ქართველს შეეძლო ასეთი სიყვარულით და ყურადღებით თევზებისა, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახვა ნეტარ და ტანჯულ ადამიანების გვერდით.

**ბიზანტიელების განყენებული ბუნება ადვილად შეურიგდა ხატების მებრძოლ იმპერატორების დეკრეტებს: იმათ შეეძლოთ, თაყვანი ეცათ აბსტრაქტული სულისთვის. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ხატების მებრძოლნი. ჩვენ გვსურდა, ჩვენი ღმერთები თვალით დაგვენახა, მათი ადამიანური სიახლოვე გულით გვეგრძნო. ჩვენს ფატნაზიას ხშირად სწვევიან აღმოსავლეთური ხილვანი. სვეტების თავებზე ხშირად ვსჭრიდით არაბესკებს, ფასკუნჯებს, მტრედებს, რომელნიც ნისკარტით ერთი მეორეს ეალერსებიან, ვეფხვებს თუ ავაზებს, რომელნიც ირმებს ებრძვიან, და გრიფებს, რომელთაც კლანჭებში გველები უჭირავთ. მაგრამ ჩვენ მაინც არც აღმოსავლეთის ღვიძლიშვილებად ჩავითვლებით.**

აღმოსავლეთური დესპოტიზმი ჩვენთვის უცხო და გაუგებარი იყო. ჩვენ არ შეგვეძლო, ქედი მოგვეხარა უსიტყვო მორჩილების ნიშნად. ქედფიცხელი არისტოკრატების ერი ვიყავით და თვითეულს ჩვენგანში ლიპარიტ ორბელიანის სული სცხოვრობდა. სპარსელების დიდი მგოსნები — ფირდოუსი, საადი, ჰაფიზი, ჯელალედინ რუმი — ადვილად შევითვისეთ, მაგრამ მათი ნაწარმოები უფრო გადმოვაქართულეთ, ვიდრე ვთარგმნეთ. გერმანელმა მეცნიერმა ფინკმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ქართველებს სრული უფლება გვაქვს ფახრედინის **„ვისრამიანი"** საკუთარ ეროვნულ პოემად ვაღიაროთ; ეს რომანი გადავნათლეთ და ჩვენს რომანტიულ და რაინდულ სულს შევუფარდეთ. მაგრამ თუ ჩვენთვის ასე თუ ისე სპარსელების მწერლობა და ხელოვნება კიდევ ახლობელი იყო, სამაგიეროდ სრულიად მიუღებელი იყო მათი ეთიკა და სარწმუნოება. ისინი იმ თავითვე ფატალისტები იყვნენ, ჩვენ არასოდეს უაზროდ არ მიგვაჩნდა ზნეობრივი აჯანყება ბედისწერის წინააღმდეგ. იმათი საუკეთესო ადამიანები ასკეტები და მისტიკოსები გახდნენ იმ ხანაში, როცა ჩვენში რეალიზმი და ჰუმანიზმი გაძლიერდა. იმათი სუფისტური თეოსოფია და პოეზია პიროვნების გათქვეფას მოითხოვდა აბსოლუტურს ერთეულში; ჩვენ წარმართული ტრადიციები და ჩვენი ინდივიდუალისტური მორალი პირიქით, პიროვნების დადასტურებას იღიარებდა. თუმცა ჩვენი მეზობლები იყვნენ, მაგრამ არასოდეს სულიერი ნათესაობა არ გვიგრძნია ამ ხალხთან. როგორც სისხლმოწყურებული მტერი, ისე შევიჭრებოდით მათ სამფლობელოში. შემდეგ მივდიოდით როგორც ირანის მბრძანებლის მოხარკენი, მაგრამ გულწრფელად არასოდეს არ გადავხვევივართ.

**დროგამოშვებით ჩვენში შორეულ ქვეყნებიდან უცხოელები მოდიოდნენ და სახტად რჩებოდნენ ჩვენი დიდებული ნაშთების წინაშე. ჩვენი ბედნიერი დღეები მათ არ ენახათ: არ იცოდნენ, რომ ერთს დროს დიდი თავისებური კულტურა გვქონდა, რომელიც სჩანთქა საშინელმა კატასტროფამ, ამიტომ ჩვენს მიწა-წყალზე ყველაფერი სასწაულად ეჩვენებოდათ. მათ ეუცხოებოდათ ყველაფერი, რაც კი საშუალო ზომას სცილდებოდა და მაღალი ნიჭის ან აღფრთოვანების ბეჭედს ატარებდა. დიუბუა დე მონპერეს უკვირდა, რომ საფარის ბარელიეფები ქართველმა ერმა შეჰქმნა. კონდაკოვი ამ პლასტიურ ნაწარმოებს ბიზანტიელებს აწერდა. მაგრამ ამ გზით უნდა უარგვეყო რაც კი რამ დიადი და ორიგინალურია ქართულს ხელოვნებაში: საეკლესიო ხუროთმოძღვრება და ჩუქურთმების დეკორაცია, მინანქრობა და ოქრომჭედლობა, ფრესკების და მინიატურების მხატვრობა, ბექა და ბექშენ ოპიზართა პიროვნება.**

მდიდრები ვიყავით ერთს დროს და ბოგანოებათ ვიქეცით ბოლოს, მაგრამ არისტოკრატიული სული მაინც შეგვრჩა. შეგვრჩა პროფილის სიწმინდე და მიხვრა-მოხვრის კეთილშობილებაც. ბევრს ესეც ეუცხოებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩვენს სამშობლოს შარდენი ეწვია და აღმოაჩინა, რომ ჩვენ უფლიდესი და უველურესი ხალხი ვართ დედამიწის ზურგზე; ჩვენი ხილი უგემურათ სცნო და ჩვენი ქალები უზნეოთ. მაგრამ ჩვენმა სილამაზემ ისიც მოხიბლა. მისთვის ამოცანად დარჩა, როგორ შერჩა ქართველს ტომს ასეთი შნო და მიმზიდველობა. არ შეიძლება მართლაც გასაკვირალი იყოს. ჩვენ ხომ მთელი საუკუნეების განმავლობაში უსაშინელეს ხარკს ვაძლევდით სპარსეთის შაჰს და ოსმალეთის ხონთქარს. ეს ხარკი სწორედ შარდენის დროს იყო უმძიმესი. ჩვენმა ლამაზმა ქალ-ვაჟებმა გააკეთილშობილეს წინააზის დაბალხარისხოვანი რასსები. ჩვენ კი თუმცა დავძაბუნდით და დავქვეითდით, სავსებით მაინც არ დაგვიკარგავს სხეულის ელასტიური ძალა.

**ჩვენი კულტურა არასოდეს არ ყოფილა ვიწროდ ცენტრალისტური; არასოდეს არ გვქონია ქართული პარიზი ან მოსკოვი. ჩვენი კულტურა ყოველთვის გაფანტული იყო. ყოველს პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა და ყოველ ხევსა თუ მაღლობს ტაძარი ან ციხე-კოშკი აშენებდა. ხალხი არ იყო დაშორებული გონებისა და განათლების ცენტრს და კულტურაც უფრო ფართო, უფრო ხალხოსნური იყო. ამიტომ არის, რომ დღეს ასე ძნელია ჩვენი მოთავსება ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულს კალაპოტში.**



რუსობისთვის უცნობია ჩვენი მძაფრი სუბიექტივიზმი. ისტორიკოსები ამბობენ, რომ ძველი სლავიანები თავებს სჭრიდნენ თავიანთ გამარჯვებულ სარდლებს: ვერ ურიგდებოდნენ ინდივიდუალობას, რომელიც საშუალო ზომას სცილდებოდა. ეს მისწრაფება ერთსახეობისა და ერთფეროვნებისადმი შემდეგშიც შერჩათ რუსებს. ივანე მრისხანებამ ძირიანად მოსრნა საბრალო ნოვგოროდი, რომელსაც ის ერთად-ერთი დანაშაული მიუძღოდა, რომ მოსკოვს არა ჰგავდა. ბიუროკრატიული წეს-წყობილება, საზოგადოების მილიტარიზაცია, გამარუსებელი პოლიტიკა გარეგნული გამოხატულებაა ამ უნივერსალურ, გამათანასწორებელ მისწრაფებისა.

ვერასოდეს ვერ შევეგუებით ამ თავისებურ ეგალიტარიზმსა და ცენტრალიზმს. ვერც ჩვენი მეზობლები შეურიგდებიან ჩვენს სუბიექტივიზმს. ამიტომ სულიერად ყოველთვის უცხო დავრჩებით ერთი-მეორესთვის. ეს ჩვენი ბედი თუ უბედობაა. ჩვენი წინაპრები იმაში ჰხედავდნენ ნუგეშს, რომ ჩვენც მართლმადიდებელნი ვართ მათსავით. მაგრამ რარიგ განსხვავდება თვით ჩვენი შემეცნება სარწმუნოებისა! ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა ყოველთვის პირადს განცდას ჰქონდა, იმათთვის ზოგად დოგმებს. ჩვენში არასოდეს არ ყოფილა მწვალებლობა ან რასკოლი; არასოდეს არ გვიბრძოლია იმისთვის, თუ როგორ უნდა დაიწეროს იესოს სახელი, რამდენი თითით უნდა გამოვისახოთ პირჯვარი ან ეკლესიას გარს როგორ უნდა შემოვუაროთ. ამათში არასოდეს არ ყოფილა სინდისის თავისუფლება: არასოდეს არ შერიგებიან იმ აზრს, რომ სარწმუნოება პირადს აღმაფრენაში მდგომარეობს და არა საეკლესიო ცერემონიალში. ჩვენ გვყავდა გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და ანტონ ჭყონდიდელი. იმათ ჰყავდათ პატრიარქი ნიკონი.

ცნობილია, რომ იოანე მთაწმინდელი იბერიის ნახევარკუნძულზე გაემგზავრა. ეგონა, რომ იქ ქართველების მონათესავე ხალხი ცხოვრობდა. ახლა კარგად ვიცით, რომ ჩვენი საეკლესიო მოღვაწე სცდებოდა და ესპანელებს ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო: მაგრამ ახლა ისიც ვიცით, რომ ნათესავები სრულიად არა გვყავს დედამიწაზე. ამიტომ ეხლა კიდევ უფრო განმარტოებული ვართ, ვიდრე საშუალო საუკუნოებში ვიყავით. მაშინ ილუზიები მაინც გვქონდა.

**გერონტი ქიქოძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეონ მეორე აფხაზი

**„საქართველო“** ქართველთა არსებობის დროის არსებობის ღერძზე საკმაოდ გვიან გაჩნდა. ერთობა, გამოხატული გრიგოლ ხანძთელისა თუ გიორგი მერჩულეს ფორმულით: **„ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების“,** ბარემც გაცილებით უხსნესია.

**„სა-ქართ-ველ-ოს“** საფუძველი **„ქართუელი“** მოდის საკრალური **„ქართიდან“.** ათასწლეული სიღრმიდან ამოზიდული ეს განმაზოგადებელი ცნება კი დაახლოებით ასე ლაგდება: თარგამოსი-ქართლოსი-ფარნავაზი – მეფე მირიანი და მოციქულთა სწორი ნინო კაბადოკიელი-ვახტანგ გორგასალი-არჩილ წამებული და IX საუკუნე. აქედან უკვე დიდი ტეხილია ახალი თვისებრიობისა. შორეული ლეგენდების ბურუსიდან იგრძნობა საოცარი სიდიადე გენეტიკური ერთარსობისა. ჩვენი ისტორიის თავისებურება ის იყო, რომ გამაერთიანებელი სწრაფვა **„ინდუქციურია“**, ცალკეული ილტვის ზოგადისაკენ; განაპირა მხარეთა სრბოლა ურთიერთისაკენ ქმნის ერთიანს. ხომ არსებობს კიევის, ვლადიმირ-სუზდალის, მოსკოვის რუსეთი, სადაც ცენტრია შემკრები. ერთმა ქალაქმა – რომმა მსოფლიო იმპერია ჩამოაყალიბა. ასეთივეა კართაგენი, ვენეცია, გენუა და ა.შ. ანალოგიურად აღმოცენდა აზიისა თუ ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები. მომთაბარეთა მოძრაობაც ცენტრიდანულია ან სწორხაზოვნად მიმართული. საერთო ფონზე თითქოს მოულოდნელია **„საქართველოს“** განვითარება. ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი საპირისპიროა.

არაბობამ ქართული ქვეყნები სპარსელებსა და ბიზანტიელებს გამოგლიჯა, შეუნარჩუნა კომპრომისული **„ავტონომია“** (ერისმთავრის სტატუსი). არც დაქვემდებარება აღუქვიათ ქართველებს პესიმისტურ სასოწარკვეთად. იცოდნენ, დადგებოდა უკეთესი მერმისი, არ შეჩერდებოდა **„ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა“**. განივლტო ეროვნული სული **„გაარაბებული“** დედაქალაქიდან. 400 წელი თბილისში ისლამი ბატონობდა. ამიტომაც არა გვყავს თბილისელი გმირი ადრეულ საუკუნეებში, ერთადერთი წმინდანი – აბო თბილელი არაბი ჭაბუკია. სამაგიეროდ ბობოქრობდა ქართული გენი პროვინციაში. იყო ქრისტიანულ-მაჰმადიანური ანტაგონიზმი, მონოფიზიტიზმის შემოღწევა ორთოდოქსალური დიოფიზიტიზმის წიაღში, ბერძნულ-ქართული ენობრივი მეტოქეობა, კულტურული დეგრადაციის საფრთხე, და მაინც დაიბადა **„სა-ქართველ-ო“**! სისხლსავსე კათოლიკე ძარღვი აღორძინებისა განაპირა მხარეების ვიწრო ხეობებში იღებდა სათავეს. მოხდა გარეგნულად აუხსნელი: ჩრდილო-დასავლეთიდან **„აფხაზთა სამთავრო“,** ჩრდილო-აღმოსავლეთიდან წანარეთი, აღმოსავლეთიდან კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰერეთი, სამხრეთიდან მონოფიზიტური რწმენის ლორე-ტაშირი, სამხრეთ-დასავლეთიდან **„ქართველთა სამეფოები“** (ტაო-კლარჯეთი) იწყებენ **„რეკონკისტას“.** თითქოს ბევრი რამ ანსხვავებთ ერთმანეთისაგან: **„საშინაო ენა“,** დინასტიური ინტერესები, სოციალური დონე, საგარეო ორიენტაციაც. საბოლოო მიზანი კი ყველას ერთი აქვს – **„ყოველი საქართველოს“** აღდგენა-გამოხსნა.

შუა საუკუნეებში, ქართველი **(„ნათესავით ქართველი“)** აღნიშნავდა ქართლელსაც, ეთნიკურად ქართველსაც და კულტურულად ქართველსაც.

კულტურულად ქართველი იყო ის, ვისაც უჩნდებოდა საერთო-ქართული თვითშეგნება. კულტურულად ქართველობა არც ენობრივ, არც ეთნიკურ, არც რელიგიურ ნიველირებას არ საჭიროებდა. ადგილებზე შენარჩუნებული იყო ქართველური და კავკასიური ენები **(„საშინაო“ ანუ „გულის ენები“)**, ადათ-წესები, სამართალი, ტრადიციები, რელიგიური რწმენა. მაგალითად, მხარგრძელთა გვარის ერთმა შტომ დიდხანს შეინახა **„სომხური სარწმუნოება“**, თუმცა ყოველთვის ქართული იყო. ასევე ქართველი იყო ცნობილი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი, წარმოშობით ებრაელი. ქართველი იყო ალანის უფლისწული დავით-სოსლანი, თუმცა მისი მამა-პაპა კარგა ხანია ოსეთში დამკვიდრებულიყო. დავით-სოსლან-ბაგრატიონ-ეფრემისძის ქართველობა ხელს არ უშლიდა იგი ოსეთის შვილად დარჩენილიყო. თვით ორი სახელი: დავითი და სოსლანი უკვე მიუთითებდა ამ უებრო რაინდის ორმაგ თვითშეგნებას. გაორმაგებული ონომასტიკონი შეინიშნება სხვა არისტოკრატებშიც. მაგალითად, ჭაჭას-ძე ჩაჩბა, იოანე-აბუ-ხუასრო და ა.შ.

ქართული სახელმწიფო უნიკალური ქრისტიანული, პოლიტიკური ორგანიზმია, სადაც გარანტირებული იყო სრული რჯულთშემწყნარებლობა-ტოლერანტობა. იგი თავიდანვე აღიარებდა უცხო ტომელთა მოქალაქეობას. ეს უკეთ გამოჩნდა გვიან, დაშლის ეპოქაში. სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში მოგზაურობისას ყოველთვის ზუსტად მიუთითებდა, როდის ხვდებოდნენ მას ქართველები და როდის საქართველოს მოქალაქენი. მოქალაქეებს იგი უწოდებდა ებრაელებს **(„ურიას“)** და სომხებს, ქართველებს – გურულებს, მეგრელებს, იმერლებსა და აფხაზებს. ოღონდ აფხაზებში საბა სვამდა ერთგვარი სხვაობის ნიშანს. მას უკვირს, რომ აფხაზები კვლავ მშვენიერი ქართულით ლაპარაკობენ. **„აფხაზმა რატომ იცოდა ქართული, ეს გამიკვირდა“**. აქ დიდი გულისტკივილია გამოხატული. მან, ვითარცა სასულიერო პირმა, უწყოდა **„მცნება სასჯელო“**, რომლის მიხედვით 1470-1474 წლებიდან **„აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყვნეს, ქრისტეს მცნებისაგან განშორებულ იყუნეს“**. ეს იყო საერთო-კავკასიური იმპერიის **„ყოველი საქართველოს“** მძაფრი კრიზისის ეპოქაში, როდესაც დაქვეითდა დიდი ქართული კულტურა და დაირღვა ეთნიკური სიმბიოზების იდეოლოგიური საყრდენები. რასაკვირველია, არც XV-XVIII საუკუნეებში გაწყვეტილა მთლიანად ერთიანობის ხაზი... აფხაზური არისტოკრატია, განსაკუთრებით აფხაზი ქალიშვილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სანიმუშო ქართული განსწავლულობით, ხოლო აფხაზმა მამაკაცებმა არაჩვეულებრივი სიმაღლით დაიცვეს რაინდული კოდექსი ზნეობრივი სისპეტაკისა... ვახუშტი მიუთითებდა, რომ მის ეპოქაში აფხაზებს თავისი ენა შენარჩუნებული ჰქონდათ, ოღონდ წარჩინებულებმა ყველამ კარგად იცოდა ქართული. ეს მოგვიანებით.

VIII-IX საუკუნეებში აფხაზები **„ყოველი საქართველოს“** ყველაზე აქტიური მაშენებლები იყვნენ. აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ პირველმა იშიშვლა მახვილი საქართველოს გაერთიანებისათვის.

**„ხოლო რაჟამს მიუძლურდეს ბერძენნ, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლოენ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსაც მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი, ვიდრე ლიხამდე. სახელი იდვა მეფე აფხაზთა“... („მატიანე ქართლისა“).**

**„ლეონიდების“** ან **„ანოსიდების“** (ლეონ I-ის, ლეონ II-ისა და მათი ჩამომავლების) საგვარეულოს წარმოშობა საბოლოოდ გარკვეული არაა. მათ ზორი აფხაზებად მიიჩნევენ (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალიფა), ზოგნი – ქართველებად (პ. ინგოროყვა), და ზოგნიც – ბერძნებად (ექ. თაყაიშვილი).

ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ საკითხის გარკვევას. მთავარია ლეონ II-ის მოღვაწეობის პოლიტიკური შედეგი. მან მოიხმო ხაზართა ძალა (დედამისი ხაზართა ხაკანის – **„იმპერატორის“** ასული იყო) და **„დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი“. „დაპყრობა“** დაუფლებას ნიშნავს. ეს მოხდა დაახლოებით 786 წელს. აქ ძალდატანებითი აქტი მხოლოდ ბერძენთა ხელისუფლების მიმართ იგულისხმება. სწორედ ამიტომ მიუთითებს **„მატიანე ქართლისას“** ავტორი, რომ მან **„დაიპყრნა აფხაზეთიც“**, ე.ი. საკუთარი სამემკვიდრეო სამთავრო. ასე ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი სახელმწიფო – **„აფხაზთა სამეფო“**, ანუ მეორენაირად – **„ეგრის-აფხაზეთის“** სამეფო. ამიერიდან ცნება **„აფხაზეთი“** აღნიშნავს საკუთრივ აფხაზეთსაც (სამთავროს ტერიტორიას), დასავლეთ საქართველოსაც და გაერთიანებულ საქართველოსაც. აქედანვე მოდის ძველი რუსული სახელწოდება **„ობე“**-ი, რაც ყოველთვის ნიშნავდა **„საქართველოს“**.

**„აფხაზთა სამეფოში“** შევიდა აფხაზეთის სამთავრო (მაშინ გაცილებით ჩრდილოეთით მდებარეობდა), სამეგრელო, სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი, გურია, აჭარა, ე.ი. ქვეყანა ნიკოფსიიდან ჭოროხამდე, შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე. ლეონ II-მ რეზიდენცია ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოიტანა. **„აფხაზთა სამეფო“** სამი იმპერიის: ბიზანტიის, არაბთა სახალიფოსა და ხაზართა სახაკანოს ურთიერთქიშპობის საგანი გახდა. აიღო რა ორიენტაცია ჩრდილოეთზე, ლეონ II-მ უარყო ბერძნები და შეუტია არაბთა მფლობელობას აღმოსავლეთ საქართველოში.

**„აფხაზთა სამეფო“** პოლიტიკურად და კულტურულად ქართულ-ქრისტიანული ქვეყანა იყო. მის ოფიციალურ ენაზე – ქართულზე – იქმნებოდა სახელმწიფო დოკუმენტები, აღესრულებოდა წირვა-ლოცვა, მუშაობდა სამეფო კარი, სკოლა, ქართული იყო მწიგნობრობა და ეპიგრაფიკა. ლეონ II-ის დროს უნდა გარდაქმნილიყო ბიჭვინთის სამიტროპოლიტო ანდრია მოციქულის საპატრიარქო საყდრად. აფხაზეთის საკათალიკოსო გახდა დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სულიერი მწყემსი. აფხაზეთის საკათალიკოსოს ემორჩილებოდა ალანთა ეკლესიაც. მისი გავლენა აღწევდა ყირიმამდე და რუსთა საზღვრებამდე. დიდ მისიონერულ მისიას ასრულებდა ენობრივად ქართული ბიჭვინთის ეკლესია, რომელიც შემდეგში მცხეთის საპატრიარქოს დაექვემდებარა. აფხაზი მეფეების გავლენით ბიჭვინთის ეკლესია, რომელიც შემდეგში მცხეთის საპატრიარქოს დაექვემდებარა. აფხაზი მეფეების გავლენით ბიჭვინთის საკათალიკოსოდან სრულიად განიდევნა ბერძნული ენა უკვე VIII საუკუნიდან.

ლეონ II უდიდესი სახელმწიფოებრივი მოღვაწეა. მისი დიპლომატია ემყარება ბიზანტია-ხაზარეთის ურთიერთწინააღმდეგობიდან გამომდინარე წონასწორობას. ეს მეთოდი უცხო არ იყო ძველი ლაზიკა-ეგრისის მეფეებისათვის, რომლებიც მტრებს მტრების ხელითვე ამარცხებდნენ. სხვაობა იმაში მდგომარეობდა, რომ **„აფხაზთა მეფე“** გაცილებით ძლიერი იყო. მან მოახერხა ერთ მუჭად შეეკრა ჩრდილო კავკასიის მოუსვენარი ტომების გაუხარჯავი ენერგია და შეენივთებინა ქართული შინაარსის იდეოლოგიასთან. **„ხაზარული პოლიტიკა“** დროებითი მანევრი აღმოჩნდა. ჩრდილოეთის დიდი იმპერია ფაქტობრივად გამოყენებულ იქნა ქართველთა ხსნის მარჯვე მეთოდად. ლეონ II-ის აფხაზურ-ქართული სიმბიოზი სრულიად ბუნებრივად გადაიზარდა სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-კულტურულ უნიფიცირებულ ორგანიზმად, რომელიც შემდეგში **„ყოველი საქართველოს“** წამყვან ბირთვად იქცა. ლეონ II-მ ჩადო ყველაზე დიდი ქვა ქართველთა სახელმწიფოებრივი ზეობის ბალავარში. ლეონ II-ე არის **„აფხაზთა სამთავროს“** უძლიერესი მმართველი. იგი ამავე დროს ამ სამთავროს **„ჰაე“**-ცაა (ე.ი. დასასრული). მან გამოიხურა პატარა, შედარებით ერთსახოვანი აფხაზეთის კარები. სამაგიეროდ გახსნა ახალი თვისებრიობის – ქართული სახელმწიფოს **„აფხაზთა სამეფოს“** ფართო ჭიშკარი. იგი ეგრის-აფხაზეთის **„ანი“**-ა (ე.ი. დასაწყისი). რა მოუვიდა საკუთრივ აფხაზეთს VIII-IX საუკუნეების შესაყარზე? იგი **„აფხაზთა სამეფოს“** ბირთვი დარჩა და გარდაიქმნა **„აფხაზი მეფეების“** საუფლისწულოდ, სადაც თანდათანობით დაწინაურდა შარვაშიძე-ჭაჭასძე-ჩაჩბათა საგვარეულო. რა მოუვიდათ ლეონ II-ის პირველ აფხაზ მოლაშქრეებს? მათ შეინარჩუნეს პრეროგატივები, საკუთარი ენა, არ დაუკარგავთ ნაციონალური **„ეგო“, ეროვნული „მე“**. ოღონდ კლასიკურ პერიოდში **„მე“**, როგორც წესი, მაღლდებოდა **„ჩვენად“**. აფხაზი არისტოკრატიის **„ჩვენი“** იყო ზოგადქართველობა. საპირისპირო მოვლენებს ნაკლებად ვხედავთ. კლასიკურ პერიოდში თითქმის არა ჩანს ტრაიბალიზმი. ე.ი. ტომობრივი შუღლი. აფხაზური წარმოშობის ფეოდალები (ისე, როგორც **„სვანური“, „ეგრისული“** და ა.შ.) აქტიურობდნენ მთელი კავკასიის ასპარეზზე. ნიშანდობლივია, რომ უკიდურესი აღმოსავლეთის საზღვარზე, ქართულ პროვინცია კაბადაში, XII საუკუნეში ჩნდება ქალაქი **„აფხაზი“**. 978 წელს ქუთაისში შეწყდა **„აფხაზური დინასტიის“** არსებობა. **„აფხაზი მეფეების“** ტახტი დაიკავა ბაგრატ III ბაგრატიონმა (გურგენ II-ე ქართველთა მეფისა და აფხაზთა მეფის ქალიშვილის ძემ). საგანგებო მანიფესტით ბაგრატიონებმა თავი **„აფხაზი მეფეების“** მემკვიდრეებად გამოაცხადეს და დასავლურ-ქართულ არისტოკრატიას დაუტოვეს აშკარა უპირატესობანი. XII საუკუნის 80-იან წლებში მეფეთ-მეფე თამარმა მოახდინა **„ყოველი საქართველოს“** სრული უნიტარიზაცია, რასაც მოჰყვა **„იმიერის“** (აფხაზეთის) აჯანყება **„ამიერის“** (აღმოსავლეთ საქართველოს) წინააღმდეგ. დასავლეთელი და მათთან მიმხრობილი სამხრეთელი არისტოკრატები დამარცხდნენ; ამ დროიდან გაქრა **„აფხაზთა სამეფოს“** (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) ფორმალური და ფაქტობრივი ჰეგემონობა ერთიან ქართულ მონარქიაში.

ლეონ II-მ ძველი კოლხეთის პოლიტიკური ტრადიციების საფუძველზე აღადგინა ქართველი და აფხაზი ხალხების მარადიული სახელმწიფოებრივი ერთიანობა. იგი ისეთივე ეროვნული გმირია, როგორც ქუჯი, გუბაზი, ადარნასე I, აშოტ I, დავით კურაპალატი, კვირიკე დიდი კახთა მეფე და ა.შ. **„აფხაზთა სამეფოს“** წარმოქმნით დაედო სათავე **„ყოველი საქართველოს“** აღზევებას, რასაც ფეოდალური ეპოქის **„ოქროს ხანა“** მოჰყვა. **„აფხაზეთის სამთავროს“** ძლიერების ზენიტი აღმოჩნდა ქართული იმპერიის იმპულსიც და სუბსტანციაც. ერთიანობა გახდა ჯერ ხსნის, შემდეგ კი შეუჩერებელი აღმავლობის საფუძველი. ერთიანობის რეალური ძალა გამოჩნდა გათიშვის პერიოდში. აშკარა გახდა, რომ **„საქართველოებად“** დაშლილი ცალკეული ერთეულები: ოდიშ-აფხაზეთი, გურია, იმერეთი, სვანეთი, ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო ვეღარ ახერხებდნენ თავი დაეღწიათ საერთო კრიზისისაგან. აფხაზეთში თანდათან ეცემოდა საქალაქო ცხოვრება, კულტურა, უკან იხევდა ქრისტიანიზმი, ფერმკრთალი ხდებოდა კოლექტიური მეხსიერება. ლეონ II **„აფხაზთა მეფისა“** და იოანე აბაზგის მშობლიური კუთხე, განმანათლებელი იდეებით რომ კვებავდა ჩრდილო კავკასიას, კინაღამ თვითონ გახდა ახალგაზრდული ტემპერამენტით აღსავსე ფეოდალური ყაბარდოს ნახევრად მეფის და ნახევრად ბელადის ვინმე ინალის ექსპანსიის ობიექტი.

რთულ XIX საუკუნეში, რომანოვების რკინის მარწუხებმა, იმპერიული კოლონიზატორების დაწოლამ, პანთურქისტულმა წამქეზებლურმა ქადაგებამ და ტრაიბალიზმის რეციდივებმა ხელი შეუწყო დამღუპველ მუჰაჯირობას. სანახევროდ დაიცალა ჩვენი სიამაყე, საქართველოს ჭეშმარიტი მარგალიტი – აფხაზეთი. ახლო აღმოსავლეთის ცხელ მიწაზე დაქცეული აფხაზური სისხლი თავიდან ბოლომდე სტამბოლის სერალისა და პეტერბურგის ჯალათი იმპერატორების კისერზეა. არც თურქ, არც რუს და არც ქართველ ხალხს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ჩვენ არც უკანასკნელი რეპრესიების თანამონაწილენი ვართ. 20-30-50-იანი წლების **„პოლიტიკას“** ქართველი ხალხი არ ქმნიდა.

თორმეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ლეონ II-მ გაათავისუფლა დასავლეთ საქართველო და ეგრის-აფხაზეთის სამეფო შექმნა. 1.200-მა წელმა დაკეცა ფრთები. იყო მაჟორული ზარების რეკვაც, იყო რეკვიემიც საკუთარი შეცდომებისა. უცვლელი დარჩა ერთადერთი და მარადიული: თანაცხოვრების უგრძესი გზა გამოვიარეთ. უნდა გვახსოვდეს: რაც გავიარეთ, დასაწყისად თუ ჩაითვლება, ბევრზე ბევრი გასავლელი გვაქვს.

**ლოვარდ ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



*სერგეი კრემლიოვი*

# ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

მერკულოვის თაობაზე ეს ნიარადი შემდეგს წერდა:

**"აი, პარადოქსი: ეს ადამიანი იყო გასაოცრად კეთილი და, ამავე დროს, მხეცივით სასტიკი, სუსხიანი და სერიოზული, მაგრამ, ამავდროულად გონებამახვილიც. მას გააჩნდა ანგელოზისებური მოთმინება, მეორე მხრივ კი, სამსახურის საათებში ზედიზედ ეწეოდა 40-50 სიგარეტს. იგი იმდენად მაღალი დონის ჩინოვნიკი გახლდათ, რომ მის წინაშე თრთოდნენ "სმენაზე" გაჭიმული ელჩები, მაგრამ, ამავე დროს იმდენად უბრალო და თავშეკავებული გახლდათ, რომ ხშირად სახეზე გაუბედაობა ემჩნეოდა. სწორედ განგსტერის იერის მქონე მერკულოვის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა თითქმის ორი მილიონი ესტონელის, ლიტველებისა და ლატვიელების ლიკვიდაცია, რომლებიც უსულგულო ადამიანთა კაპრიზებს შეეწირენ. მაგრამ მერკულოვს იმდენად უყვარდა ბავშვები, რომ ცრემლი სდიოდა ბრამსის "ძილისპირულის" შესრულების დროს. ერთხელ, როცა ჩვენ უკვე ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ლამის ქვითინით მაჩვენა თავისი სამხედრო მოსამსახურე შვილის ფოტოსურათი".**

უნგრელი მწერალი რომ კარგად იცნობდა მერკულოვს, იმ ნათელი სტრიქონებითაც დასტურდება, რითაც შემოქმედი მის პორტრეტს ესოდენ დამაჯერებლად აღწერს. მაგრამ, რამდენადაც არ არსებობს სიყვარული სევდის გარეშე, ისე არ არსებობს **"დემოკრატი"** სიცრუის გარეშე. ნუ დავიწყებთ იმის გამოძიებას, თუ **მის წინაშე როგორ თრთოდნენ "სმენაზე" გაჭიმული ელჩები**, რადგან ვსევოლოდ მერკულოვს არ ეკავა ის თანამდებობა, რომ კოლექტიურად მიეწვია ელჩები პირად შეხვედრაზე.

რაც შეეხება **"მხეცურ სისასტიკეს"**, **"განგსტერის იერს"** და **"ორ მილიონამდე ესტონელის, ლატვიელისა და ლიტველის განადგურებას"**, აქ კი უნდა გავერკვეთ.

ჯერ ერთი, როცა ბალტიისპირეთი საბჭოთა კავშირს შემოუერთდა, სამივე რესპუბლიკაში მთლიანად ოთხ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა. მათი ნახევრის ასე ელვისებურად ამოჟუჟვას თვით ატილაც კი ვერ შესძლებდა...

მაგრამ, აი დოკუმენტი — სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომისრის მერკულოვის 1941 წლის 16 მაისით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი **№ 1687/M**, რომელსაც სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტის სახით თან ერთვოდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში **"წმენდის ჩატარების გეგმა"**. აღნიშნული პროექტი ბერიას ხელმოწერით სტალინს წარუდგინეს, რომელშიც აღნიშნული იყო:

"1. ნება დაერთოს ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის სახელმწიფო უშიშროების კომისარიატებსა და შინსახკომებს ქონების კონფისკაციით დააპატიმრონ და სხვადასხვა ვადით გადაასახლონ ან ციხეებში განათავსონ შემდეგი კატეგორიის ადამიანები:

კონტრრევოლუციური პარტიების აქტიური წევრები, თეთრგვარდიელთა და ნაციონალისტთა მოძრაობის აქტივისტები;

ოხრანკის, ჟანდარმერიის, პოლიციის, საპატიმროების ის ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელზედაც არსებობს მაკომპრომენტირებელი მასალები;

ყოფილი ფაბრიკანტები, მსხვილი მემამულეები და სახელმწიფო აპარატის ყოფილი მოხელეები;

სამივე რესპუბლიკის თეთრგვარდიული არმიის ყოფილი ოფიცრები, რომელზედაც არსებობს მაკომპრომენტირებელი მასალები;

სისხლის სამართლის ის დამნაშავეები, რომლებიც აგრძელებენ დანაშაულებრივ საქმიანობას..."

როგორც პირველი პუნქტიდან ირკვევა, ჩაფიქრებული იყო სასწრაფო **"წმენდის"** ჩატარება აშკარა **"მეხუთე კოლონაში"**. ამავე წერილში საუბარია იმის თაობაზეც, რომ ყაზახეთის ჩრდილოეთ რაიონებში 5 წლით უნდა გადასახლდნენ მეძავები, რომლებიც ადრე იყვნენ რეგისტრირებული პოლიციის შესაბამის ორგანოებში.

აქედან ირკვევა, რომ გასახლებულ იქნა 760 მეძავი და 2.162 სისხლის სამართლის დამნაშავე, რასაც **"დემოკრატები"** მთელი შეგნებით უმატებენ ბერია-მერკულოვის საერთო მსხვერპლთა რიცხვს.

**"წმენდის"** ღონისძიება სამივე რესპუბლიკაში სამ დღეში ჩატარდა და მასში ძირითადად მონაწილეობას იღებდნენ შინსახკომის ადგილობრივი სასწავლებლის კურსანტები. შედეგად მივიღეთ ის, რომ ლიტვაში **"წმენდა"** შეეხო 15.851 კაცს, ლატვიაში 15.171 და ესტონეთში 9.156 კაცს. საერთო ჯამში გადასახლებული იქნა 40.178 კაცი, რომელთა რიცხვში შედიოდნენ ქურდები, ყაჩაღები და მეძავები.

ასე რომ, ჩვენი **"დემოკრატი უნგრელიც"** სასტიკად ცრუობს. თავი რომ დავანებოთ სხვა რესპუბლიკების სტატისტიკას, ბალტიისპირეთის რესბუბლიკებშიც კი, რომელიც 1917 წლის შემდეგ კონტრრევოლუციის მთავრ საყრდენს წარმოადგენდა, **"წმენდა"** შეეხო ასორმოცდაათი ადამიანიდან ერთს და მათ შორის არავინ არ იქნა დახვრეტილი. მაქსიმალური სასჯელი 8-წლიანი პატიმრობა იყო.

მერკულოვზე ლაფის მისხმით ნიარადი ფაქტიურად ბერიას ასხამს ლაფს. მას ხომ შესანიშნავი მაწავლებელი ჰყავდა ამ საქმეში ხრუშჩოველების, რაძინსკების, ვოლკოგონოვებისა და ოვსეენკოების სახით.

მაშ ასე, 1941 წლის 14 თებერვლიდან მერკულოვი ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, მათ შორის საგარეო დაზვერვას. და უკვე ბერია კი არ უგზავნიდა, სტალინითა და მოლოტოვით დაწყებულ, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს სადაზვერვო მონაცემებს არსებული მდგომარეობის თაობაზე, არამედ ვსევოლოდ მერკულოვი.

ბერია ახლა მხოლოდ ღებულობდა ამ მონაცემებს. აქ განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი ერთ მთავარ გარემოებას — 1941 წლის 14 თებერვლიდან საგარეო დაზვერვის საქმეებს ბერია აღარ ხელმძღვანელობდა!

ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა საბჭოთა კავშირში ზღვად მოედინებოდა დაზვერვის მიერ როგორც ინფორმაცია, ასევე დეზინფორმაციაც. აქ კი ზორგეზეც უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, რომელსაც მჭიდროდ უკავშირებენ ბერიას სახელს, თუმცა საეჭვოა, რომ მზვერავთა სიუხვის გამო ბერიას პირადად სცნობოდა მისი პიროვნება.

ერთ-ერთი მითი გვაუწყებს, რომ სტალინმა და ბერიამ არ ირწმუნეს ზორგეს ინფორმაცია.

მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ კინოში ხდება, როცა სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბის დავალების შესასრულებლად. რეალურ ცხოვრებაში კი ასეთი ინფორმაციები, რომელიც ხშირად არ არის სიმართლის შემცველი, მდინარეებად მოედინება ყველა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებში. და უმაღლესი ხელისუფლება მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე ახდენს რეაგირებას. მთავარია მთლიანი ინფორმაციის ნაკადი, ისიც დროის გარკვეულ მონაკვეთში. ერთი მზვერავი კი მთელ სადაზვერვო სივრცეს ვერ გადასწვდება.

რაც შეეხება **"ზორგეს დეპეშას"** ჩვენ აქ მალე შევიტყობთ რაღაცას.

ზორგე დიდი ინტელექტუალი იყო — მაგრამ აქაც არსებობს ორი აზრი. მე მას ჟურნალისტსაც ვერ ვუწოდებდი — კლასიკური გაგებით. ბუნებით ჟურნალისტი, უპირველესად, რეპორტიორია: მივიდა, ნახა, დაწერა. ზორგე კი ანალიტიკოსი იყო და მის იაპონიიდან გამოგზავნილ წერილებს სიამოვნებით ეცნობოდნენ მაღალი წრების წარმომადგენელი ქალბატონები. ფაქტიურად ეს გახლდათ შეფასებები, პროგნოზები და მოვლენათა ანალიტიკური ანგარიში.

მაგრამ, ამავე დროს, ზორგე ცუდად ორგანიზებული პიროვნებაც იყო. მას კონსპირაციაც კი ძალიან ცუდად ჰქონდა ორგანიზებული. ამას ერთვოდა ქალებთან უთავბოლო კავშირები და სპირტიანი სასმელები. ზოგჯერ მზვერავი ვალდებულია სასმელების მოყვარულად წარმოაჩინოს თავი — ლოთებზე ნაკლებად მიაქვთ ხოლმე ეჭვი (თუ იგი, რა თქმა უნდა, სასმელს საკუთარ შემოსავალს ახმარს). მაგრამ ზორგე არ თამაშობდა, რასაც მასთან დაკავშირებული ერთი თავგადასავალიც ამტკიცებს.

ზორგეს უყვარდა მოტოციკლით სეირნობა და ხშირად დააგელვებდა მოტოციკლს ტოკიოს მანქანებით გადაჭედილ ქუჩებში.

ჩქარი სიარული დანაშაული არ არის, თუმცა პროფესიონალს რისკზე წასვლის უფლება გააჩნია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. არც ის გახლდათ დიდი დანაშაული, რომ ზორგე ხშირადნმთვრალ მდგომარეობაში დააგელვებდა თავის მოტოციკლეტს. მაგრამ ის, რომ მას თან გააჩნდა ის ნივთები, რომელსაც შეეძლო, მისი როგორც მზვერავის გამჟღავნება, ეს უკვე...

გასაგებია, როგორ უნდა შეფასდეს ეს...

ერთხელ ზორგე კინაღამ ამის გამო ჩავარდა... იგი ასი კილომეტრის სიჩქარით მიჰქროდა, გზის გვერდზე აღმართულ ქვის სვეტს შეეჯახა და მძიმე მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს საავადმყოფოში... ჯიბეში კი მიკროფირები ედო. ვიდრე გონებას დაჰკარგავდა, მან მოახერხა გამოეძახებინა რადისტი მაქს კლაუზენი და **"კომპრომატი"** მისთვის გადაეცა. მოსკოვში **"ფირების"** თაობაზე არაფერი შეუტყვიათ, მაგრამ ავარიის თაობაზე შეიტყვეს.

თქვენ კი ენდობოდით ასეთი რეზიდენტის ინფორმაციას, ძვირფასო მკითხველო, თუნდაც მისი, როგორც პიროვნების მიმართ გარკვეული ნდობა გქონოდათ?

პირადად მე — არ ვენდობოდი!

რაც შეეხება შემდეგი შინაარსის დეპეშას:

**"1942 წლის 15 ივნისი.**

**თავდასხმა მოსალოდნელია 22 ივნისს, დილით, ადრე"** — ასეთი დეპეშა, უბრალოდ, არ არსებობს!

**ვიმეორებ — ასეთი რამ, უბრალოდ, არ ყოფილა!**

ამის თაობაზე ხაზგასმით აღნიშნა პოლკოვნიკმა კარპოვმა, 2001 წლის 16 ივნისს, გაზეთ **"კრასნაია ზვეზდაში"** გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც დიდი სამამულო ომის დაწყების 60 წლისთავს მიეძღვნა: **"სამწუხაროდ, ეს სიყალბე ხრუშჩოვის დროს იშვა. ვიღაც მწერალს აზრად მოუვიდა თავში ლიტერატურული ინტრიგისათვის შეექმნა ზორგეს მიერ გამოგზავნილი გამაფრთხილებელი დეპეშა, რომელიც აიტაცეს დოკუმენტალისტებმა, დაუმატეს ფსიქოლოგიზმი, შურისმაძიებელი სტალინი და..."**

კარპოვის აღიარება მთლიანად ხსნის ბერიას გარშემო დატრიალებული ბრალდებების კორიანტელის შიგთავსს — რომ ომის წინ ბერიამ ჩაატარა ულმობელი რეპრესიები. მათში, უბრალოდ, **"შურისმაძიებელ სტალინს"** ცვლის **"შურისმაძიებელი ბერია"**...

ახლა დროა ომის დაწყების თარიღთან დაკავშირებულ ანტიბერიასეულ სიყალბეებსაც მოვხედოთ. მე არ ვიცი, ვისი შეთხზულია ისინი, მაგრამ სერგო ბერია თავის წიგნში მას ინსინუაციებად მოიხსენიებს, განსაკუთრებით მწერალ ოვიდიუს გორჩაკოვის მიერ მოხმობილ ფაქტებს. გორჩაკოვს ხშირად ადარებენ **"მაიორ ვიხრს"**, თუმცა ეს ნაწარმოები სამხედრო მზვერავ ევგენი სტეფანეს ძე ბერეზნიაკის საქმიანობას ასახავს...

აი, რა შეთხზა მან:

**"სტალინისადმი გაგზავნილი ბერიას მოხსენებითი ბარათიდან:**

**1941 წლის 21 ივნისი... მე კვლავ ჯიუტად მოვითხოვ (ეს ბერია მოითხოვს სტალინისაგან ჯიუტად?!), გამოძახებულ იქნას ბერლინიდან მოსკოვში და სათანადოდ დაისაჯოს ელჩი დეკანოზოვი, რომელიც უხვად გვიგზავნის დეზინფორმაციებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყების თაობაზე. მან გვაცნობა, რომ თავდასხმა მოხდება ხვალ. იგივე გვაცნობა ბერლინში სამხედრო ატაშემ გენერალ-მაიორმა ვ.ი. ტუპიკოვმა. ეს უტვინო გენერალი ამტკიცებს, რომ ვერმახტის არმიის სამი ჯგუფი შეტევას განახორციელებს მოსკოვზე, ლენინგრადსა და კიევზე. სადაზვერვო სამმართველოს (იქ სადაც უახლოეს წარსულში მოქმედებდა ბერზინის ბანდა) უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ფ.ი. გოლიკოვი უჩივის დეკანოზოვსა და თავის პოლკოვნიკ ნოვობრანცევს, რომელიც ასევე იტყუება, რომ ჰიტლერს ჩვენს საზღვრებთან 170 დივიზია აქვს თავმოყრილი. მე და ჩემს ხალხს კი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ, კარგად გვახსოვს თქვენს მიერ გაკეთებული ბრძნული დასკვნა: 1941 წელს ჰიტლერი ჩვენ თავს არ დაგვესხმის!"**

ეს სტრიქონები უკვე დიდი ხანია დასეირნობენ მთელ მსოფლიოში. და მასში აშკარად იჟონება რეალობის შერყვნის სურვილი, ზუსტად ხრუშჩოვისეულ სტილში.

აი, ხელთ მიპყრია სქელტანიანი პირველი ტომი 1961 წელს სამხედრო გამომცემლობის მიერ დასტამბული წიგნისა **"საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია 1941-1945"**. მასში საერთოდ არ არის მოხსენებული გვარი — მერკულოვი. ბერიას გვარი სულ ორჯერაა ნახსენები, მაგრამ ამის თაობაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. უკრაინის განთავისუფლების ორგანიზაციის წევრი მელნიკი — არის, გერმანელი პოლიტემიგრანტი მერკერი — არის, მერე მიდის ამერიკელი დიპლომატი მესერშმიტი, მას მოსდევს — მეხლისი...

წიგნში არ არის მოხსენიებული არც სსრკ უშიშროების სახალხო კომისარიატი და არც სსრკ შინსახკომი, ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატიც კი არის მოხსენებული, მაგრამ ძალოვანი სტრუქტურები, არა...

სსრკ შინსახკომზე, რომლის მესაზღვრეებმა პირველებმა მიიღეს მტრის დარტყმა, საერთოდ კრინტი არაა დაძრული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის საძიებელში არც **"სასაზღვრო ჯარებია"** მოხსენიებული. ეს ლოგიკურიცაა — ხომ შეიძლება ვინმემ იკითხოს, კი მაგრამ, რომელ უწყებას ეკუთვნოდნენ მაშინ საბჭოთა მესაზღვრეებიო?

იგივე მეორდება იმ **"საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია 1941-1945"** თორმეტტომეულის მე-3 და მე-4 ტომებში, რომელიც 1974 და 1974 წლებში გამოიცა მოსკოვში სამხედრო გამომცემლობის მიერ. ბერია — არ არის, მერკულოვი — არ არის, შინსახკომი — არ არის, უშიშროების სახალხო კომისარიატი — არ არის, სასაზღვრო ჯარების მოქმედებაზე სამიოდ სტრიქონი წერია წიგნში, რომლის მოცულობაა 1038 გვერდი.

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგრული პოეზიის რაფსოდია

## *გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).*

შონურ მუთა მიჩქუდ, მარა,
ქიგიფშინი "ხოჩა დინა"...
ჭე ქარჩქილედ მარგალური –
ხვამელიში გონარჩქინას.

ყოროფასი ართ თოლ უღუ,
ართი ყუჯი დო ართ ნინა,
ჩქი ართ ღორონც ქიმვოფუჩეთ
მუშ ოროში ათორინა.

უკულ ართი ჩხე ჯუდათი
დობებჭედეთ ართიანი,
ჩქინ ხუტოლიშ მუმაჯინე
შურც გოტენდუ დადიანი.

გორჩქინუსუ ათქუედუ,
გურ გურც ქინვოხანტიანი,
ხიოლც ათუყონუდითი,
ღორონთი დო მარდიანი!

ათენერო აკოფსქვითი
ჩქინ უღუ დო ჩქინი ბედი.
უღვენობას თოლქ დაწკურუ
ყოროფაში მიღუდ მენდი.

მუქუთ აიშა გინობჭყორდენ
ვართ ფშუდუ დო ვართ ბნარღენდი,
ართშა ქუვორდ ნაბარგა დო,
მაჟიაშა ვებაბრგედი.

ნოსადიქი კარ გამნინჯუ
ქუკინებულ კოჭოფ ხესი.
ხუტოლერი ქობძირესინ
ხე დო დუდი ქუგმოლესი:

– ეს ანწ ხოლო ჭიშითია
თქუ დო, ქოონჯღორედ ჭესი,
მარა მა მი პკინთხენცია, –
თამადაქი მოიგორესი...

ეხანჩალერ ყაზახეფქი
ქურკენწითი მაფშეს ჩაყვა;
ძოკოქქ აფხაშ ოთოლარო
ოყონალი გოწკანტ ჯაყვა.

სისა ტურა მიოტუ დო
გაქთონთქილუ თუს აყვაყვა.
ბერმუიაქ გამნიბირუ,
ალაყურანდ ყუნგა ყვაყვა.

* * *

ფარა კოჩიშ მოღორე რე,
მუშენინი... ვასინ ბრელცი.
ჯიმას – გიოკოგუანცუ,
ორტყაფუთუ გაქშქვანც – გვერცი.

მახინც – პაპათ დონათენცი
ილორც გაგთოხვამანც – ჭყელცი,
მუ ცოდა რენ... ამარ გიწინთ,
ვაუკათუა მოძინელცი:

ცოტა სვანურიც მესმოდა –
გავიხსენე – "ხოჩა დინა"
ცოტა მეგრულიც ესმოდა
ღმერთისაგან დალოცვილსა.

თვალი ერთი აქვს სიყვარულს
ერთი ყური, ერთი სიტყვა
ჩვენ ერთადერთს, ღმერთს შევფიცეთ
რომ მის ჩრდილქვეშ გვედოს ბინა.

მერე ცხელი ხვევნა-კოცნით
გადავბეჭდეთ ერთმანეთი
ჩვენი კოცნის შემხედვარე
სულს დალევდა დადიანიც.

და შეეძლო გამჩენს – ეთქვა:
– გული გულში ჩავხატეო.
...და სიხარულს შევეყუჟეთ...
ღმერთო ჩემო, მადლიანო!

აი, ასე გადავნასკვეთ,
ჩვენი ბედი და უღელი.
მტერს დავუვსეთ თვალები და
სიყვარულის დავრგეთ ნერგი.

აქამომდეს რაც გადამხდა
არც მახსოვდა, არც ვნაღვლობდი,
ერთხელ უკვე გამარგლული
კვლავ გავიმარგლებოდი.

მერე, კარი შემოაღეს
ანთებული კვარით ხელში,
ჩახუტებულთ შემოგვხედეს,
გაიხარეს და დაგვლოცეს:

– ამას კიდევ მოაწრებთო –
თქვა ნოსადიმ მორიდებით,
– მაგრამ მე ვინ მეკითხება –
თავ თამადა გიბარებთო...

ხანჩალებდნენ მეზობლები
ივსებოდა ღვინით ჯამი,
ძიკომ ბეჭის ასათლელად
სანამყენო გახსნა ჯაყვა.

თან სიმღერა შეწყვიტა და
გამოღადრა გოჭს კისერი
ბერმუია მღეროდა და
ბანს აძლევდა მას ყრუ ყვაყვა.

* * *

ბევრი ფული მაცდურია,
მაგრამ მრავალს ეს არ ესმის
დაგავიწყებს ძმას, მეგობრებს
მოგაჩვენებს გველს კეთილად.

ქურდს მღვდლად შერაცხს და ილორში
გამოლოცავს იმ დაწყევლილს,
ფული რაც ცოდვაა – გეტყვით
არ გავურევ ოდნავ ზედმეტს.

# გთავაზობთ ნაწყვეტებს ნაპო მესხიას წიგნიდან "როგორ გასხვისდა აფხაზეთი".

ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დაწყებამდე, ძალით მიგვიყვანეს მე და კიმი ჯაჭვლიანი **"ეროვნული ერთიანობის საბჭოს"** სხდომაზე, სადაც დაგვადანაშაულეს იმაში, რომ მხარს არ ვუჭერდით მათ, არ ვმონაწილეობდით ანტიაფხაზურ საპროტესტო აქციებში და ლამის მოღალატეებად გამოგვაცხადეს. ამ სხდომას ესწრებოდა საბჭოს თითქმის ყველა წამყვანი წევრი: **გენო ადამია, მურმან ბერია, გურამ გაბისკირია, დიმიტრი ჯაიანი, ჯანო ჯანელიძე, ალექსანდრე ჯიქია, ბორის კაკუბავა, გენო კალანდია, გივი მეშველიანი, ალექსანდრე მიქაძე, შალვა წულეისკირი, ჟანა ჩხეიძე** და სხვები (ეს ვინც მახსოვს!).

შედგა ღია და **"პირუთვნელი"** საუბარი: **"არავითარი კონტაქტი აფხაზურ მხარესთან", "ისინი ჩვენი მტრებია, მათთან თანადგომა და თანაარსებობა არ შეიძლება", "მოღალატეებად ჩავთვლით, ჩავქოლავთ ყველას, ვინც რამეთი დაეხმარება აფხაზებს", "მტრის ხატი უნდა შევქმნათ აფხაზებისაგან"** და ა.შ. ასეთი იყო საბჭოს წევრების კატეგორიული პოზიცია! აქტიურობდა ყველა, გარდა **გენო ადამიასი**: მან თავი შეიკავა. განსაკუთრებით მე შემომიტიეს! მგონი, **გივი მეშველიანს** ეკუთვნოდა რეპლიკა: **"კარგით, კაცო, ნაპო მესხია და მოღალატე? კარგით რა!"**

ჩვენ პოზიციები არ დაგვითმია: კიდევ ერთხელ დავაფიქსირეთ, რომ არ ვიზიარებდით მათ ექსტრემისტულ, კონფრონტაციულ მიდგომებს, ვადექით დიალოგისა და კონსენსუსის გზას, ვთვლიდით რა, რომ ეს იყო ერთადერთი გამოსავალი მედროვეთა მიერ ხელოვნურად შექმნილი საბედისწერო ლაბირინთიდან. **"თქვენ დაღუპავთ აფხაზეთს"**, – ეს იყო ჩემი უკანასკნელი სიტყვები და ასე, პროტესტის ნიშნად, დავტოვეთ მე და კიმმა ეს ავადსახსენებელი საბჭოს სხდომა;

...უკანასკნელი კონტაქტი ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებთან იყო მათთან ერთად გამგზავრება თბილისში, სახელმწიფო საბჭოს თავკაცებთან შესახვედრად. ეს იყო 1992 წლის ივნისის ბოლოს, ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.

**"ეროვნული ერთიანობის საბჭოს"** წევრებმა, როგორც იტყვიან, დაგვატყვევეს მე და კიმი ჯაჭვლიანი და ასე **"კონვოირებულნი"**, ჩაუცმელნი და დაუხურავები, ჩამოგვიყვანეს თბილისში. ე.წ. **"ეროვნული ერთიანობის საბჭოს"** წევრებიდან დელეგაციაში იყვნენ: **გენო კალანდია, დიმიტრი ჯაიანი, მურმან ბერია, გურამ გაბისკირია, ზურაბ პაპასკირი, შალვა წულეისკირი, გივი მეშველიანი, ალექსანდრე მოსკალენკო და ვასილი კადენეცი.**

ასეთი შემადგენლობით მიგვიღო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე, პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ვიცე-პრემიერი და თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, **"სახელმწიფო საბჭოს"** მდივანი ვახტანგ გოგუაძე და სახელმწიფო საბჭოს წევრი რაულ კუპრავა.

გაიმართა მწვავე დისკუსია აფხაზეთში არსებულ პრობლემებსა და იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც გადაუდებელ განხილვასა და მოგვარებას მოითხოვდნენ. აქ დამსწრე **"ეროვნული ერთიანობის საბჭოს"** წევრებიდან თითქმის ყველა გამოირჩეოდა პირუთვნელი ექსტრემიზმითა და რადიკალიზმით აფხაზეთთან, განსაკუთრებით აფხაზებთან მიმართებაში. სამწუხაროდ, ისინი ვერ ანსხვავებდნენ აფხაზ ხალხს აფხაზი სეპარატისტებისაგან, მოითხოვდნენ გადაუდებელ რადიკალურ ღონისძიებებს. ამასთან, არ გამორიცხავდნენ ძალისმიერ მიდგომას. იმათგან განსხვავებით, შედარებით ლიბერალური პოზიცია დააფიქსირეს **ალექსანდრე მოსკალენკომ** და **ვასილ კადენეცმა.** რაღა თქმა უნდა, მოზომილი და ლოიალური იყო **კიმი ჯაჭვლიანი**.

მე და კიმი, როგორც დეპუტატები, აქ უმცირესობაში აღმოვჩნდით და შევთანხმდით, არ ავჩქარებულიყავით: ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს რამდენიმე წევრის გამოსვლის შემდეგ, დისკუსიაში კიმი უნდა ჩართულიყო და ბოლოს – მე უნდა გამოვსულიყავი. ვფიქრობდით, შექმნილ სიტუაციაში ეს უფრო მომგებიანი იქნებოდა.

ჩემი, ასე ვთქვათ, პასიურობა არ გაამოპარვია ედუარდ შევარდნაძეს და მანიშნა: რატომ ვდუმდი, რატომ არ ვიღებდი მონაწილეობას დისკუსიაში. მეც ვანიშნე, რომ სხვებს დაველოდებოდი და ბოლოს გამოვიდოდი. მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

ეტყობა, ბატონი ედუარდი მთლად არ იზიარებდა ექსტრემისტულ მიდგომას და უფრო მოზომილი პოზიციების მქონე მონაწილეებისკენ იხრებოდა. არ ვიცი, ეს მისთვის ჩვეული ორმაგი სტანდარტის დეტალი უფრო იყო, თუ ის გულწრფელად იდგა ჩვენს პოზიციაზე.

ძალზე ემოციური ანტიაფხაზური გამოსვლების შემდეგ, მეც ემოციურად გავემიჯნე დამსწრეთა უმრავლესობის პოზიციას და პრობლემებისადმი მიდგომას. ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე: **"სულ სხვა რაკურსით, სულ სხვა თვალით უნდა შევხედოთ აფხაზეთში არსებულ პრობლემებს; საჭიროა კონსტრუქციული დიალოგი და ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ გამოირიცხოს ძალისმიერი გადაწყვეტა – ესენი, ასეთი მიდგომით დაღუპავენ აფხაზეთს... "ეროვნული ერთიანობის საბჭო", მისი რადიკალური ფრთა წარმოადგენს დამანგრეველ, დესტრუქციულ ძალას. ამ მხრივ გამორჩეულია მათი "შტაბ-ბინის" მფლობელის ბატონი გივი მეშველიანის – ამ გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერის ანტიაფხაზური განწყობა. ეს ის გივი მეშველიანია, კომუნისტების დროს ჰალსტუხივით ყელს რომ გეხვეოდათ, ბატონო ედუარდ, თქვენ და თქვენს გარემოცვას, მერე – ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს. მის კაბინეტში იწერებოდა აფხაზეთის ის ცნობილი დისკრიმინაციული საარჩევნო კანონი, ხოლო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ისევ თქვენს მხარეზე გადაბარგდნენ ბატონი გივი და ძმანი მისნი. დღეს კი აქ გიმტკიცებენ ერთგულებასა და მხარდაჭერას. ამას კიდევ არა უშავს, კონსტრუქციულად რომ გამოიყურებოდნენ ეს ხალხი აფხაზეთთან მიმართებაში. ამათი პოზიცია და ფერიცვალება – ამათი ყვარყვარიზმი დამღუპველია აფხაზეთისა და მთლიანად ქვეყნისათვის"**-მეთქი.

ჩემმა ასეთმა პირდაპირობამ გამოიწვია უკმაყოფილება, ააღელვა ყველა, განსაკუთრებით გაცხარდნენ ე.წ. **"ეროვნული ერთიანობის საბჭოს"** წევრები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამას უხეში პოლემიკა არ მოჰყოლია და ურთიერთ შეხლა-შემოხლაში არ გადაზრდილა.

სიტყვით გამოვიდნენ: ბატონები თენგიზ სიგუა და რაულ კუპრავა. შეხვედრა ედუარდ შევარდნაძემ შეაჯამა. მან, როგორც ჩვევია, დააბალანსა ჩვენი პოზიციები: დაგვპირდა, რომ მიიღებდნენ უფრო ქმედით ზომებს, გამოიჩენდნენ მეტ ოპერატიულობას, გამართავდნენ შეხვედრებს, მათ შორის აფხაზურ მხარესთან, მის ლიდერებთან, თუმცა ყველა დაპირება დაპირებად დარჩა!

სოხუმში იმ დღესვე გამოვბრუნდით. გზაში ცოტა წავიკამათეთ კიდეც, მაგრამ ყველაფერმა, როგორც იტყვიან, უსისხლოდ ჩაიარა.

იყო კიდევ ასეთი შემთხვევაც, რასაც შეხვედრას და საქმიან ურთიერთობას ვერ დაარქმევ. ეს იყო უკვე აფხაზეთიდან ჩვენი სამარცხვინოდ გამოდევნიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ე.წ. **"ეროვნული ერთიანობის საბჭოს"** ინიციატივით, თბილისში, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში მიმდინარეობდა დევნილთა გრანდიოზული თავყრილობა. აქციას უძღვებოდა ამ საბჭოს ლიდერი ბატონი **ბორის კაკუბავა.** მას პრეზიდიუმში გვერდს უმშვენებდა ბატონი **თამაზ ნადარეიშვილი.**

მიმდინარეობდა ძალზე ემოციური და ხელისუფლების მიმართ პირუთვნელი გამოსვლები. შესვენების დროს ბატონმა ბორის კაკუბავამ მომმართა თხოვნით ამოვსულიყავი სცენაზე. მე, რა თქმა უნდა, მივედი მასთან. კაკუბავამ მთხოვა: **"ბატონო ნაპო, დაგვეხმარე, ამომიდექი გვერდში".** მე ვუპასუხე: **"ბატონო ბორის, ხომ ხედავთ, რომ არ გამოვდივარ სიტყვით, ამაზე მეტს ვერ დაგეხმარები!"**

ეს იყო სულ, მათთან შეხება სხვა დროს მე არ მქონია.

ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოსთან, ასე ვთქვათ, ჩემი კონტაქტების ვრცელი მიმოხილვის შემდეგ, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ბატონ პაპასკირის **"ისტორიულ აღმოჩენებს" – "Абхазия. История без фальсификации".** აქ ბევრი რამ არის სადავო. მკითხველმა უკვე თავად იხილა, თუ რამდენად ფალსიფიკაციის გარეშეა ფაქტები და მოვლენები გადმოცემული ამ წიგნში. მათ შორის, გამოვყოფდი კიდევ ერთ საკითხს, რომელიც ედუარდ შევარდნაძის სახელთანაა დაკავშირებული.

ცნობილია ბატონი ედუარდის არაერთგზის **"აღსარება"** იმის თაობაზე, რომ მარცხი კი განიცადა აფხაზეთში, მაგრამ მას ეს კუთხე და მისი მკვიდრნი ერთი წუთითაც არ მიუტოვებია. მისი განცხადებით, მან ყველაზე ბოლოს დასტოვა აფხაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეოტროცკისტული ღიმილიანი დიალოგი



ჩვენი ტელევიზიის მეშვეობით რას არ დაინახავ და გაიგონებ?

მაგრამ ამა წლის 31 ივლისს, კინომცოდნე გიორგი გვახარიას გადაცემის შემყურე, დავრწმუნდი, რომ უსაზღვრო ყოფილა შერყვნილი სექსუალური ფანტაზიებით თავგზააბნეული კაცის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. (სიტყვა **"შერყვნილი"** რედაქციის ჩამატებულია, რადგან გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გიორგი გვახარია თითქმის სიყმაწვილიდან გახლავთ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევარი და ადრე თუ საგულდაგულოდ ჩქმალავდა ამას, ახალ ამაყობს კიდეც თავისი ჰომოსექსუალობით. რა, მისი ამ **"ღირსების დამფასებლები"** აკლია თუ?).

გადაცემა მიეძღვნა იოსებ სტალინის **"პიროვნების კულტის"** მხილებას და ლევ (ლეიბა) ტროცკის განდიდებას.

თურმე, სტალინის მთავარი დანაშაული ის ყოფილა, რომ **დემოკრატ, სათნოებით სავსე, ზნეკეთილ ლეიბა ტროცკს არ დააცალა თავისი ღვთიური მისიის აღსრულება.** მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ტროცკიც გვახარიასავით მამათმავალი (ოღონდ, გვახარიასაგან განსხვავებით – აქტიური!) გახლდათ, სულ არ გამიკვირდება, რომ მათ ერთი ღვთიური მისია ჰქონდეთ!

გვახარიამ და სტუდიაში მიწვეულმა **"ექსპერტმა"** (მისი გვარი არ ვიცი) ერთად გააანალიზეს ლეიბა ტროცკის მოძღვრება და მისი ცხოვრების წესი. გააკეთეს დასკვნა: **თუ არა მზაკვარი სტალინის ბოროტი ხელი, ტროცკი არა მხოლოდ საბჭოთა ადამიანებს, არამედ მთელ კაცობრიობას გააბედნიერებდა!**

მკითხველმა, რომელმაც ამ გადაცემას ვერ უყურა, არ იფიქროს ის, რომ **"გაბედნიერებაში"** მატერიალური კეთილდღეობა იგულისხმება. **"გაბედნიერებაში"** გვახარია და **"ექსპერტი"** გულისხმობდნენ მათნაირი პიროვნებების თავისუფლებას, დემოკრატიას... თავის მხრივ კი, მათებურად, პიროვნების თავისუფლება და დემოკრატია გულისხმობს ბედკრული ადამიანის გათავისუფლებას **"წყეული"** ზნეობრივი აკრძალვებისგან, ტრადიციებისგან, ადათ-წესებისგან...

მათი აზრით, ტროცკის უდიდესი დამსახურება ისა ყოფილა, რომ იგი თურმე **წინააღმდეგი იყო ოჯახის ინსტიტუტის.** ოჯახი ტროცკის მიერ განიხილებოდა როგორც კერძო საკუთრება, ბურჟუაზიული გადმონაშთი, სადაც პიროვნების თავისუფლება იზღუდება...

ლეიბა ტროცკის ზეობის დროს, რუსეთის ზოგიერთ რეგიონში რევკომმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის ძალითაც ქალს ქმარი არ უნდა ჰყოლოდა, კაცს კი – ცოლი. ქალი პროლეტარ მამაკაცს მკაცრად განსაზღვრული გრაფიკით უნდა მომსახურებოდა, ხოლო, თუ ღმერთი გაუწყრებოდა და ბურჟუას ჩაუგორდებოდა ლოგინში, სასტიკად დაისჯებოდა. ბავშვს არ უნდა სცოდნოდა მშობლების ვინაობა, იგი **"პრიუტში"** უნდა გაზრდილიყო. (ასეა, როცა გარყვნილებას გასაქანი მიეცემა, როგორც ეს საქართველოში ხდება, სადაც ხელისუფლების ფავორიტ ტელეარხებზე მეძავების და ჰომოსექსუალების მოძალება შეინიშნება, ზნეობას მოკლებული ადამიანები წამსვე აიტაცებენ ხოლმე ყოველგვარ სისაძაგლეს. მაშინ ტროცკის გალაშქრებას ზნეობის წინააღმდეგ მოჰყვა აღვირახსნილი გაშიშვლებული დედაკაცების სამარცხვინო მარში ერთი ქალაქიდან მეორეში, დევიზით: **"ძირს სირცხვილი".** სწორედ ამგვარ თავისუფლებას მისტირის უზნეო გვახარია, რომელიც თავის მართლაც ავადმყოფურად ანომალიურ ტელეგადაცემებში ყოველგვარ სულიერებას მოკლებული, სიძვისა და გარყვნილების ჰიმნად ქცეული ფილმების დემონსტრირებით იყო გამორჩეული – **"ილორი"**).

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ, სწორედ ლეიბა ტროცკის ამგვარ გარყვნილ ახირებას იწონებდნენ გიორგი გვახარია და მისი სტუმარი **"ექსპერტი"**.

ამ **"ექსპერტმა"** (უცნაური სამოსელი კი ეცვა) სინანულით აღნიშნა, რომ **სტალინმა ტროცკის კეთილშობილური, დემოკრატიული წამოწყება მოსპო და საფუძველი ჩაუყარა მტკიცე ოჯახს.** (შეიძლება ისინი მართლაც ისეთ ოჯახს მისტირიან, სადაც თავად იშვნენ და აღიზარდნენ, რადგან მართლაც არაფერი სცხიათ კეთილშობილურ და ნორმალურ ოჯახში აღზრდისა – **"ილორი"**).

მტკიცე ოჯახიო, – თქვა **"ექსპერტმა"**, – სტალინს იმიტომ ჭირდებოდა, რომ იგი დიქტატურის დასაყრდენიაო. ჰიტლერიც მომხრე იყო მტკიცე ოჯახისო. მტკიცე ოჯახის წევრები პატარა დიქტატორები არიან და ამიტომ დიდ დიქტატორს მხარს უჭერენო. (მათი მტკიცებით, დიქტატორი მიხეილ სააკაშვილი მანამ იბოგინებს საქართველოში, ვიდრე ჩვენთან მტკიცე ოჯახის ინსტიტუტი არ მოიშლება. ხედავთ, თურმე რის ფასად უნდა დაგვიჯდეს ნაციონალებისა და მათი ბელადის თავიდან მოშორება? – **"ილორი"**).

ამგვარად, გვახარია და **"ექსპერტი"** კაცობრიობას პანაცეას სთავაზობენ: **არ იქნება ოჯახი, იქნება დემოკრატია! იქნება მტკიცე ოჯახი, იქნება დიქტატურა!**

ძირს ოჯახი! გაუმარჯოს პიროვნების თავისუფლებას!

**"ექსპერტის"** აზრით, როცა ზნეობრივი ნორმებით, ტრადიციებით, ეკლესიურად ვცხოვრობთ, ამით ჩვენ თანამედროვეობას უმოწყალოდ ჩამოვრჩებით, ფეოდალური ხანის ქაჯებს ვემსგავსებით.

**"ვეფხისტყაოსანი"** ფეოდალურ ხანაში დაიწერა, ბატონო **"ექსპერტო"**, ამიტომ ვინმე ვაიმწერალ დეისაძის **"საიდუმლო სირობასთან"** შედარებით ჩამორჩენილობის ეტალონია? ბნელეთის მოციქულთა ბიბლიაა?

ამ ორი ჭკუისკოლოფის კინომცოდნურ-სექსოლოგიურ-პოლიტიკურ დიალოგს თან ახლდა ტროცკისდროინდელი კინოკადრები: ემანსიპირებული შიშველი ქალები... ტიტლიკანა ქალის და კაცის სექსი მაიმუნურ პოზაში (რაში სჭირდებოდათ ეს, მხოლოდ ეშმაკმა უწყის)... და, რაც მთავარია, საუბარს თან ახლდა განუმეორებელი გვახარიასეული (საკმაოდ ცინიკური და ზიზღისმომგვრელიც – **"ილორი"**) ბედნიერი ღიმილი.

რაში დასჭირდათ დღეს მარქსისტ ტროცკის იდეების გახსენება? იქნებ ახალ, ნეოტროცკისტულ მოძღვრებას ქმნიან **"კრულვით დაღდასმულნი"** პროლეტარიატის ხსნისათვის?

არა მგონია!

თუკი გაეცნობით ლენინის, ტროცკის, ზინოვიევისა და სხვათა ინტიმური ცხოვრების წესს, ადვილად ასახსნელი იქნება **"თავისუფლების ინსტიტუტის"**, გვახარიას, **"ექსპერტის"** და სხვა გადაგვარებულთა ზიზღი სტალინის მიმართ და ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკის გაფეტიშება.

დახურული და გასაიდუმლოებული ისტორიული არქივის გახსნისთანავე ისტორიკოსმა ი.ვ. სოკოლოვმა მონახა რევოლუციის ბელადების წერილები, რომელთა მეშვეობით ფარდა აეხადა მათ ბინძურ ინტიმურ ცხოვრებას.

"**Русский взгляд**"-ში (№3, 1996 წელი) გამოქვეყნებული სოკოლოვის წერილი ითარგმნა და დაიბეჭდა გაზეთ **"ლიტერატურულ საქართველოში"** (№28, 2008 წელი).

ბოლშევიკთა მემატიანე მწერალმა ქალმა მარიეტა შაგინიანმა არქივში მუშაობისას აღმოაჩინა მასალები, რომელთა გამოქვეყნება სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკად აუკრძალა. მაგრამ, გავიდა დრო და მარიეტა შაგინიანის წიგნი მაინც დაიბეჭდა. ეს მასალები ქართულ ენაზე გამოაქვეყნეს რ. ჯალაღანიამ, დ. ქობალიამ და ნ. გოგუამ ნაშრომში **"ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე"** (თბილისი, 2008 წელი, გვ. 110-118).

არ მინდა მკითხველის გონება დავაბინძურო იმ საზიზღრობით, რაც სწერია ვლადიმერ ლენინის, ლეიბა ტროცკისა და გერშერლ ზინოვიევის მიწერ-მოწერაში, მაგრამ, იქ რომ წერია, მართლაც მტრისას – მჟღავნდება ის **"მწველი, მგზნებარე"** (მამათმავლური) სიყვარული, რომელიც თურმე ბობოქრობდა იმ პერიოდის რევოლუციონერთა გულებში (და უკანალებშიც – **"ილორი"**). აქ არის ზინოვიევის ეჭვიანობაც ლენინის მიმართ, რომელიც ერთხელ თურმე ტროცკიმ **"აცთუნა"**. და დღეს ზოგიერთები როგორ ცდილობენ ეს სიყვარული პიროვნების თავისუფლების გამოვლენად მიიჩნიონ, დემოკრატიის მონაპოვრად ჩათვალონ.

არც ვისისა და რამინის, არც ტარიელისა და ნესტანის, არც ტრისტანისა და იზოლდას, არც პოლისა და ვირჟინის, არც რომეოსა და ჯულიეტას, არც ვერტერისა და ლოტეს ტრაგიკულ სიყვარულს იმდენი სისხლი არ მოჰყოლია, რამდენიც სოდომის ცოდვით დამძიმებული ამ სამი მასონი ურიას სიყვარულს მოჰყვა...

მილიონობით რუსის და ბევრი არარუსის სიცოცხლე შეიწირა ამ მამათმავლების მიერ წამოწყებულმა **"წითელმა ტერორმა"**, და რომ არა იოსებ სტალინი, არავინ იცის ეს ტერორი როგორ მასშტაბებს მიიღებდა და საერთოდ როგორ წავიდოდა მთელი მსოფლიოს საქმე სწორედაც რომ ტროცკისეული **"მსოფლიო რევოლუციის"** იდეების განხორციელების შედეგად.

გვახარია და **"ექსპერტი"** ამ ტერორს ამართლებენ, ხოლო სტალინის მიერ ტერორისტების დასჯას, ეკლესიების ნგრევის შეჩერებას, ოჯახის სიწმინდის შენარჩუნებას, ზნეობრივი ცხოვრების წესის დანერგვას დანაშაულად მიიჩნევენ.

ტროცკის პათოლოგიურ გადახრებს ბიბლია სოდომის და გომორის ცოდვას ეძახის, ხოლო გვახარია და ძმანი მისნი **"თავისუფლების ინსტიტუტიდან"** მას დემოკრატიის კრიტერიუმად აღიარებენ.

**"ექსპერტის"** დასკვნით, ტროცკის, განსხვავებით სტალინისგან, საქართველო და ქართველი ხალხი ნამეტნავად ნაყვარება იმის გამო, რომ თურმე ქართველებს სიცოცხლე გვიყვარს, ლეიბას აზრით კი, თურმე, სტალინი ქართული მოვლენა არ ყოფილა.

რას არ გაიგონებ!

მაგრამ ისიც ვიცი: **"ნუ მოიწონებ უწმინდურთა მოსაწონს; გახსოვდეს, ჯოჯოხეთამდე არ გამართლდებიან ისინი"** (სიბრძნე ზირაქისა, 9,12).

**თენგიზ კუბლაშვილი**

# ხელისუფლებისგან გაბანძებული ბანძელები და გაგრიალებული "ფერერო"

## (პრესის მიმოხილვა)

მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაციები მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის თაობაზე, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საბედისწერო არჩევნის წინაშე აყენებს – ან იცხოვრონ მამაპაპისეულ მიწებზე მსხვილფეხა რქიანი საქონლის გარეშე, ან საერთოდ გადასახლდნენ ოდაბადედან და სხვაგან ეძებონ შიმშილისაგან თავის დახსნის გზები.

საქმე იმაშია, რომ ხელისუფლებამ მარტვილის რაიონის სოფელ ბანძის მიწები თაღლითობით გამორჩეულ რომელიღაც იტალიურ ფირმა **"ფეროროს"** მიჰყიდა და ახლა ბანძელებს საძოვრები აღარ დარჩათ პირუტყვის გამოსაკვებად. როცა იტალიელებმა კატეგორიულად დაუსვეს საკითხი ბანძელებს – თქვენი საქონელი ჩვენ მიწებზე აღარ დავინახოთო, – ადგილობრივმა მოსახლეებმა ხმა აიმაღლეს ამგვარი უკანონობის წინააღმდეგ, რის საპასუხოდაც გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ სოფლის მოსახლეობას სპეცრაზმი მიუსია, რომელთაც ადამიანებს ცხვირ-პირი დაამტვრიეს. ამ გულისამრევ სანახაობას, რომელიც ქალბატონ ჰილარი კლინტონის საქართველოში ჩამობრძანებას დაემთხვა, თურმე მარტვილის გამგებელი მამუკა დანელიაც ესწრებოდა.

შემდეგ გაირკვა, რომ იტალიელებს მხოლოდ ბანძა არ დაუტოვებიათ საძოვრების გარეშე – ბანძის გარშემო რომ ხუთი სოფელია განთავსებული, მათი მიწებიც შეუძენიათ!

და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ქალბატონი ჰილარი მაღალ ტონებში ესაუბრებოდა საქართველოს მოსახლეობას ადამიანის უფლებებზე. ალბათ ეს გაითვალისწინა მამუკა დანელიამ, რომელმაც უმიწაწყლოდ დარჩენილ მარტვილელებს შესთავაზა: **"20 ჰექტარ მიწას მოგცემთ და ამას უნდა დაყაბულდეთო"!**

ალბათ არ იცის ბატონმა მამუკამ, რომ ოცი ჰექტარი საძოვარი მხოლოდ ოც ძროხას თუ ეყოფა, ხოლო დანარჩენმა ძროხებმა სად უნდა იკვებონ, ეს მაღალჩინოსანს არ დაუკონკრეტებია. იქნებ, **"ხალხზე ზრუნვისაგან"** ქანცგაცლილმა ნაციონალებმა, მათმა **"ბელადმა"** და გარემოცვამ იმაზეც იფიქრონ, რომ უმიწაწყლოდ დარჩენილი **"ქართველი"** ძროხებისათვის უფასო კვების ობიექტები გახსნან!



ახლა პრესაში იმის თაობაზეც იწერება, რომ მიწის ნაკვეთები, რომელსაც ეს **"ფერერო"** ყიდულობს, აუქციონზე საერთოდ არ გააქვთ. ეს აშკარა კანონდარღვევა კი იმის მიმანიშნებელია, რომ ამ ფირმის მიღმა რომელიმე ქართველი მაღალჩინოსნის ინტერესები იმალება. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ხელისუფლების ამგვარ ძალადობაზე კრინტს არ ძრავს ის ოპოზიცია, რომელმაც ადგილობრივი ორგანოების არჩევნებზე, მარტვილში, ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა მიიღო.

ასეა, ჩვენო ძვირფასო მარტვილელებო!

თუ მტერ-მოყვარის გარჩევის უნარი დაგეკარგებათ, თუ ბრმად გაჰყვებით ამ არაქართულ ხელისუფლებას, რომელსაც აშკარად დაღუპვისაკენ მიჰყავს საქართველო, თუ ერთმანეთისაგან არ გაარჩევთ ჭეშმარიტ ოპოზიციას და ფსევდოოპოზიციას, ჯერ მიწებს გაგიყიდიან, მერე შვილებსაც გაგიყიდიან (თუ უკვე არ არიან გაყიდულები) და საბოლოოდ ამოგიკვეთავენ ფეხს სამშობლოდან!

არჩევანი თქვენზეა, ვიდრე ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული!

**ლ. ლეკიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

# ტოლსტოის დღეები

**გელენჯიკი. შუა აგვისტო.**

ყოფილი სატახტო ქალაქი ჩერქეზეთის. ზღვის-პირია. თითქო პოსეიდონის გაავებული ბედაური მიხლია ტორებით მთას გახელებული: მთა შეურღვევია – გაჩენილა ნატერფალი ფლოქვის. ეს სრუტეა გელენჯიკის (თექვსმეტი ვერსი ირგვლივ).

გელენჯიკი: **„თეთრი რძალი“** (ალბათ, ჩერქეზულად).

სუნთქვა გადასული ხალხის, რაინდულის.

ყვითელი მზე და ხვლიკის-ფერი ზღვა. ვისვენებ. ვარ მოცილებული: მეგობრებს, ნაცნობებს, წიგნებს, საკუთარ თავსაც. (უკანასკნელი არ არის მართალი: ვმართავ სცენებს ახალი დრამისას, ისე, როგორც კინორეჟისორი აკეთებს ფილმის კადრებს).

მსოფლიოსთან მაკავშირებს მხოლოდ **„იზვესტია“.**

უეცრად **„ტოლსტოის დღეების“** ამბავი – (ტოლსტოის ასი-წლის თავი დაბადებიდან სრულიად დამავიწყდა). საიუბილეო კომიტეტი შედგომია სამზადისს.

მოწვეულ არიან უცხოელნი: რომენ როლლან, ანრი ბარბიუს, სტეფან ცვაიგ, ბერნჰარდ კელლერმან, ტომას მან, ჰაინრიხ მან, გელსუორსი, ბერნარდ შოუ, კნუტ ჰამსუნ, დიუამელ, რაბინდრანატ ტაგორ, მაჰატმა განდი. მრავალი სხვა: მწერალი და სწავლული.

მსურს დავესწრო დღესასწაულს. მინდა ნახვა რომენ როლლანის და სტეფან ცვაიგის. განსაკუთრებით უკანასკნელის – (გასაგებია: მისი სახელი ძალიან დაკავშირნებულია ჩემი რომანის გამოსვლასთან ევროპაში).

ვსწერ წერილს მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის მიმართ.

* * *

**აგვისტოს ბოლო.**

წერილზე პასუხი არ მოდის.

ვფიქრობ: ალბად ტფილისში პრეზიდიუმიდან აღარავინაა – სიცხეებია და წასული იქნებიან.

ვუგზავნი დეპეშს სტეფან ცვაიგს ზალცბურგში: დაესწრება თუ არა მოსკოვში ტოლსტოის იუბილეს.

მესამე დღეს ვკითხულობ **„იზვესტიაში“:** სტეფან ცვაიგ წამოვა მოსკოვისაკენ სექტემბრის შვიდს ან რვას.

**სექტემბრის 6.**

პასუხი ტფილისიდან არაა.

ვემზადები მოსკოვში გასამგზავრებლად.

მოვიდა ცვაიგის პასუხიც: დაესწრება.

შინ მეუბნებიან: ნუ ჩქარობ, ხვალ გაემგზავრე, მაინც მოასწრებ. არ ვუჯერი. (კარგი ვქენ, რომ არ დავუჯერე: მეორე დღეს გელენჯიკ-ნოვოროსიისკის გზატკეცილზე რამოდენიმე ავტობუსი გაეძარცვავთ ზედიზედ).

მივყივარ ზღვის-პირას ავტობუსით.

გზა კარგია და სანახაობაც გვარიანი.

ნოვოროსსიისკში მძვინვარებს **„ნორდ-ოსტი“.** აქ **„ცემენტს“** ამზადებენ. მტვერი საშინელია. **„ნორდ-ოსტის“** დროს ნოვოროსსიისკი აუტანელია (როგორც ბაქო).

საღამოს გავიდა ჩქარი მატარებელი.

უბედური შემთხვევა.

კრასნოდარის ახლო, ღამით, მატარებელი დაეტაკა თივით დატვირთულ ურემს. ურემი დაამსხვრია. ერთი ცხენი იქვე გასრისა. მეორეს ფეხი მოამსხვრია. მეურმენი? მათ ეძინათ (ორ ახალგაზრდას) მაღლა თივაზე (თივაზე ძილი ღამით მაგარია). ცხენები თავისით იკვლევდენ გზას. დატაკებისას ერთი მეურმე განზე გადავარდა (არ დაშავებულა, დაიბეგვა მხოლოდ), მეორე ორთქმავალის ცხვირზე მოექცა (არ დასახიჩრებულა: მხოლოდ **„კანტუზია”**).

**სექტემბრის 8.**

ახლოვდება მოსკოვი. გელენჯიკის ხსოვნა იკარგება. ნისლი მატულობს. მზე იმალება. მოსკოვთან მზე აღარ ჩანს. თვითონ მოსკოვში წვიმაა. დაბრუნებული მოაგარაკენი იწყევლებიან.

საღამოა უკვე. ვურეკავ ტელეფონით ნაცნობებს. ვერავინ გამოვიხმე: ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან საგრილოდან თუ ევროპიდან.

გავემართე სერგეი გოროდეცკისთან.

გავიგე მასთან ყველაფერი, რაც კი დღესასწაულს ეხება.

წავედით **„დიდ თეატრში“**. მიდიოდა **„თავადი იგორ“**. იქ გავიცანი ამხ. შულმანი, **„გლავისკუსსტვოს“** მდივანი. მან ყველაფერი გადმომცა დაწვრილებით.

**სექტემბრის 9.**

გაზეთების ცნობა: დღეს მოელიან უცხოელ მწერლებს. მათ შორის: კელლერმანსა და ცვაიგს.

გავემართე ბალტიის სადგურისაკენ.

იქ უკვე მოსულიყვნენ **„ვოკსის“** – (საკულტურო კავშირის საზოგადოება) – წარმომადგენელნი. აგრეთვე: ჟურნალისტები, ფოტოგრაფები, **„როსტა“** და კინო-გადამღები.

1 საათსა და 10 წუთზე მოვიდა ჩქარი მატარებელი.

მე ვეძებ ცვაიგს, არ არის.

მითხრეს: ხვალ მოვაო.

გადმოხტა ბერნჰარდ კელლერმან. შუა ტანის. ცოტა კორძიანი. თმა თითქმის სულ შევერცხლილი. დასიცხული. სახე ბრინჯაოსი. მეტყველება მაგარნი. სიტყვა მჯერი. გარეგან: უბრალო (ჩაცმულობით – კიდევ უფრო).

გავეცანით.

ახრიალდა კინო-აპარატი. ფოტოგრაფებს სად გაექცევი?

კელლერმან იღიმება. გადაიღეს ყოველი მისი ნაბიჯი.

ჩასვეს ავტოში და წაიყვანეს **„გრანდ ოტელში“.**

ამავე მატარებლით ჩამოვიდა ა.ვ. ლუნაჩარსკი.

მითხრა: ვისბადენში ვიყავი ერთი თვით. უნდა დავსწრებოდი ტოლსტოის დღეებს რასაკვირველია. არ ვიცი, როგორ მოაწყეს სამზადისი...

**„უთუოდ ყველაფერი რიგზე იქნება“** – ვუპასუხე.

**სექტემბრის 10.**

იმავ მატარებლით მოვიდა სტეფან ცვაიგ.

იგივე საზოგადოება დამხვედრი.

ფოტოგრაფები არ ზოგავენ აპარატებს. რეპორტიორები თავს ესხმიან.

შევხვდი. ძალიან გაეხარდა. ერთი-მეორე არ გვენახა არასოდეს, თუმცა თითქმის ორი წელია, მუდმივი მიწერ-მოწერა გვაქვს გამართული.

მომახარა:

**„თქვენი რომანი ამ დღეებში გამოვა. წინასიტყვაობა წამოსვლის წინ დავსწერე. ვჩქარობდი: მოწვევის ბარათი გვიან მივიღე“.**

გავემართეთ **„გრანდ-ოტელისაკენ“.**

არც ერთი ფოტოგრაფია არ გადმოცემს ცვაიგის სახეს. ამის შესახებ, რამოდენიმე დღის შემდეგ კიდეც გავეხუმრე: **„ჰერრ ცვაიგ, ფოტოგრაფია ვერ ახერხებს თქვენ გადაღებას. ძველ რწმენას თუ დავუჯერებთ, ეს კარგია“...**

**„როგორ?..“**

**„ძველი რწმენით, სახის ობიექტივაცია (გამოსახვა თუ გამოკვეთა) სიცოცხლეს უკლებს პიროვნებას, ართმევს რაღაცას, აცლის“...**

**„ჰააა... მაშ, ახალგაზრდად მთვლით ეხლაც“...**

ცვაიგ იცინის.

მართლაც: იგი 47 წლისაა და 37 წლისად გეჩვენებათ. თმაში თეთრს ვერ მოუძებნით. ტანით: საშვალოზე მაღალი. მსუბუქი. ნაზი (ხელები ქალის ხელებს უგავს). შავგვრემანი. თვალებში: ხალისი (შორიდან მოსჩანს სევდა). პირველი შეხედვით: მწერალს, პოეტს არ ჰგავს. ჩვეული ევროპიელი, ზრდილი, თავაზიანი (მეტად), ჩაცმულობა – კარგი (თვალში არ გეცემა). სუფთა. დაკვირვებული. პირველი შეხედვით კიდეც გაგიკვირდებათ: ეს კაცი წერს ამ ნოველებს და ამ მონოგრაფიებს?! მაგრამ ეს **„გარეგანი ხედვაა“.** შიგადაშიგ ცვაიგს სახე ეცვლება. ხანდახან, გაკვრით, ჩნდება სულიერი დაძაბულობა. ეს მალულად ხდება: ასე ვთქვათ – **„განზე“**. უნდა **„შეისწრო“**: მხოლოდ მაშინ ხედავ მისი სახის ნამდვილ მეტყველებას.

მოვათავსეთ **„გრანდ-ოტელში“.**

ცვაიგ გახარებულია, აღფრთოვანებულია. ამბობს:

**“როგორც იქნა, მოველ რუსეთში, დოსტოევსკისა და ტოლსტოის რუსეთში. მაგრამ უბედურება ის არის. რომ ენა არ ვიცი ამ დიდი ხალხის. ეს კატასტროფაა ჩემი სიცოცხლის: რამდენი თემებია ეხლა რუსეთში?..“**

ბევრი ვიბაასეთ. ვეკითხები:

**„რად არ მოვიდა რომენ როლან?..“**

**„ავად არის, თორემ უთუოდ დაესწრებოდა ზეიმს“...**

სამ საათზე სტენოგრაფისტი უნდა მოსულიყო.

გამოვეთხოვე...

ექვს საათზე შევიარე: **„დიდ თეატრში უნდა წავსულიყავით. „სიტყვა უკვე დაემზადებინა წარმოსათქმელი.**

**მეუბნება:**

**„ფრაკი არ წამომიღია, არც სმოკინგი“...**

**„აქ არაა საჭირო: არც ფრაკი და არც სმოკინგი“...**

შევედით თეატრში. გაკვირვებულია შენობით. გაგვიყვანეს სცენაზე...

საზეიმო სიტყვა წარმოსთქვა ა.ვ. ლუნაჩარსკიმ. მთელმა საბჭოთა კავშირმა იცის, რომ ლუნაჩარსკი ძალიან მჭერმეტყველი მოლაპარაკეა: ძნელ თემებზედაც. ამ საღამოს მის წინ მეტად რთული თემა იდგა. ერთი მხრით: ტოლსტოი, უუდიდესი ფენომენი კულტურის. მეორე მხრით: კომუნიზმი, რომელიც ტოლსტოიზმს ვერ ეგუება. საზეიმო სიტყვაში უთუოდ კრიტიკაც უნდა შეჭრილიყო. ეს კი ძნელია მოსახერხებელია. და უნდა ითქვას მართალი: ა.ვ. ლუნაჩარსკიმ პირნათლად სძლია ყოველი სიძნელე. რამდენი წინ მიდიოდა, იმდენი უფრო დიდი სიძნელე იმართებოდა. ხოლო იმდენადვე ძალუმი იყო მეტყველის შეტევა. ეს სიტყვა ყველამ იცის გაზეთებით და აქ არ მოვიყვან მას. ვიტყვი მხოლოდ: მარქსიზმის მეთოდით მისვლა ტოლსტოისთან მეტად ორიგინალური ფორმებით იყო გაყვანილი. ჩვენ ვაფასებთ ტოლსტოის, – დაასრულა მეტყველმა, – მაგრამ ვიმეორებთ ლენინის სიტყვას: **„აქედან – აქამდე“...**

სტეფან ცვაიგ აკვირდებოდა ლუნაჩარსკის სიტყვას. **„ძალიან მაგარი ორატორი ყოფილა“, –** ჩამჩურჩულა. შიგადაშიგ მთხოვდა, სიტყვის ზოგიერთი ადგილი გადამეცა. მეც ვუთარგმნიდი. ამავე დროს შენიშვნებს აკეთებდა: ალბად ორატორული მანერისა და ხერხის შესახებ. თანვე რვეულს ფურცლავდა; წარმოსათქმელ სიტყვას ასწორებდა.

მეორე სიტყვა პროფ. საკულინმა აიღო. გარეგნობით სლავიანოფილს ჰგავს, ძველს: კირეევსკის თუ აკსაკოვს თუ ხომიაკოვს. ლაპარაკობდა ტოლსტოიზე როგორც ხელოვანზე. ტოლსტოი არ უარყოფდა ხელოვნებას, – ამბობდა იგი: ტოლსტოის სძაგდა მხოლოდ გადაგვარებული ხელოვნება და სხვა.

სტეფან ცვაიგს დაღლილობა ეტყობა. ათვალიერებს პროფილებს. ვიღაცას თვალი მოჰკრა:

**„შეხედეთ იმ კაცს... რა პროფილია... სწორუპოვარი... გასაოცარი, გასაოცარი“...**

გავიხედე: შავი კაცი, ნამლევა, დიდი თმა და მოზრდილი წვერი, მიმქრალი, თითქო სანთლისაგან ჩამოქნილი, ფერი – ყვითელი პერგამენტი, თვალები ანთებული. ზის თავისთვის: თითქო თვალღია სიზმარშია, სახე ადამიანის, რომელსაც **„ამ სოფელთან“** აღარაფერი დარჩენია.

**“ბიბლიიდან არის ამოვარდნილი, ან უკეთ: თქვენი იერემიიდან“...**

მივუგე ცვაიგს (**“იერემია“** ცვაიგის ტრაგედიაა).

ცვაიგ თვალს ვერ აცილებს ამ ბიბლიურ სახეს...

აკადემიკოსი ოლდენბურგი ავად იყო და არ მოსულა. მას უნდა წაეკითხა **„ტოლსტოი და მეცნიერება“.** მის მაგიერ ილაპარაკა შაცკიმ. მხოლოდ თემა სხვა იყო: **„ტოლსტოი და პედაგოგიკა“**. სიტყვა მოსაწყენი გამოვიდა. იწყეს მთქნარება.

გათავდა პირველი ნაწილი ზეიმის.

დაუკრეს ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია, რომელიც ლევ ტოლსტოის ძალზე უყვარდა.

**„დიდი თეატრის“** ორკესტრმა თავი ისახელა. სტეფან ცვაიგ სმენად იქცა. შიგადაშიგ ვერ ითმენდა და აფრთოვანებით ჩურჩულებდა: **„გასაოცარია, გასაოცარი“...**

ერთ ალაგას მეც წავიჩურჩულე:

**„მუსიკა – აი ნამდვილი ხელოვნება“...**

**„შეიძლება – ერთად ერთიც“...**

გაისმა ცვაიგის სიტყვა.

დასრულდა სიმფონია და **„დიდი თეატრი“** აგრიალდა ტაშით. განსაკუთრებით ბევრს უკრავდნენ უცხოელები...

ა.ვ. ლუნაჩარსკიმ გამოაცხადა: სიტყვა ეძლევა ავსტრიელ მწერალს სტეფან ცვაიგს. ადგა უკანასკნელი – გაისმა ტაშის გრიალი. მივიდა კათედრასთან – ტაშის გრიალი გრძელდება. ცვაიგ აღელვებულია და საზოგადოებას თავს უკრავს – გრიალი კიდევ უფრო ძლიერდება. შეხვედრა გადაიქცა ნამდვილ ოვაციათ. ასეთი ოვაციით მას ალბად ევროპაშიაც არ შეხვედრიან არასდროს. ცვაიგს ეტყობა აღელვება, მაგრამ ისეთი, რომელიც აფრთოვანებას კიდევ უფრო მეტ ფრთებსასხამს.

იწყო ლაპარაკი. იგი არ არის **„ორატორი“**, მაგრამ **„მეტყველი“** კარგია მაინც: ინტიმური, მიმწდომი. ხმა – ნელი, მშვიდი. არავითარი ჟესტიკულაცია, მხოლოდ: წელში თუ მხრებში იღუნება ხანდახან. თემა იყო ასეთი: **„ტოლსტოი და უცხოეთი“**. ცვაიგმა მაგარი ზოლებით გადაშალა, თუ როგორ ბარბაროსული ძლევამოსილებით შეიჭრენ ევროპაში დოსტოევსკი და ტოლსტოი: დოსტოევსკი – ეს ანთებული ნერვი რუსეთის სულის, ტოლსტოი – ეს გაწოლილი ველი რუსეთის სიფართოის. გახსნა ლიტერატურული კვანძი ტოლსტოის. გაიხსენა ორი **„მორალური გენია“**, რომელიც **„სხივად მოიღო“** ტოლსტოიმ: დასავლეთში – რომენ როლლან და აღმოსავლეთში – მაჰატმა განდი.

გაათავა სიტყვა. ტაში. გადათარგმნეს – კიდევ ტაში.

შემდეგ გამოვიდა ბერნჰარდ კელლერმან. შეხვდენ დიდი ტაშის-ცემით. მან წაიკითხა მოკლე **„სიტყვა“**, პოეტურ ფორმებში გამოკვეთილი. ტოლსტოის ფენომენს **„ბიბლიურად“** სახავდა. თუმცა კითხულობდა **„სიტყვას“**, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც დიდი დასტოვა.

გაიხსნა მისალმება. ზეიმი გრძელდება. ცვაიგს დაღლილობა ეტყობა.

ოლგა დავიდოვნა კამენევა, **„ვოკსის“** თავმჯდომარე, მეკითხება: თქვენ როდის ილაპარაკებთ? – მწერალთა კავშირში, – მივუგე.

ცვაიგ აღარ იცდის. გავედით.

ეტყობა: **„მიღებით“** გახარებულია, შემთვრალებულს ჰგავს.

ვიწყეთ **„ყიალი“** ქუჩებში. შევექცევით ყურძენს. მივადექით **„ივერსკაიას“.** ცვაიგ შეჩერდა. სალოცავი ჩაკეტილი იყო. სანთელი ბჟუტავდა. ცვაიგმა იცის, რომ ძველად **„იბერია“** სახელი იყო საქართველოსი. უკანასკნელიც შეიჭრა სიტყვაში.

გავედით **„წითელ მოედანზე“.** მოსჩანს ლენინის მავზოლეი. **„მე უფრო დიდი მეგონა“, –** ამბობს ცვაიგ. მავზოლეი აცხადებს (დამშვიდებით და გაცეცხლებით) უტეხ სიძლიერეს. **„რომ შეიძლებოდეს ნახვა”**: ჩურჩულებს ცვაიგ. იქვე მილიციონერია. გვეუბნება: ნახვა შეიძლება ყოველდღე 5-დან 6-მდე გარდა ოთხშაბათისა. გავყევით ქვევით. ცვაიგ აკვირდება კრემლის კედლებს. მოსწონს. მივუახლოვდით **„ვასილი ბლაჟენნის“** ეკლესიას. ცვაიგ ათვალიერებს მის აღნაგობას, გაკვირვებულია: მოსწონს მეტად. შიგადაშიგ წარმოსთქვამს დანელებული აფრთოვანებით: **„რუსეთი, რუსეთი“.** ვეღარ მოვითმინე:

**“წამოდით საქართველოში და კათედრალებს ისეთს გაჩვენებთ, რომ... ხო დამპირდით გერმანიაში?”**

**“ჩემი მოსვლა რუსეთში არ არის უკანასკნელი... უთუოდ მოვალ კიდევ. მაშინ აქედან საქართველოსაც ვეწვევი.. უთუოდ... ოოჰ, ლეგენდარული „სამხედრო გზა“ საქართველოსი!”**

ცვაიგ რომანტიკაში გადავიდა.

გამოვბრუნდით. აკვირდება მაღაზიებს და ფასებს კითხულობს.

დიდხანს ვიხეტიალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოთნის ნაცისტები



**შესანიშნავი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ბატონი გივი სომხიშვილი დღეს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში ცხოვრობს და მოღვაწეობს. სამშობლოს სიყვარულით და მასზე ზრუნვითაა გაჟღენთილი შემოქმედის თითოეული სიტყვა. მე-8 ათეულ წელში გადამდგარი მწერალი კვლავაც ახალგაზრდული შემართებით იბრძვის სამშობლოსა და ქართული სულიერების დასაცავად და თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს მხოლოდ დიდი სიმართლის გაჟღერებას, რაოდენ არასასიამოვნოც არ უნდა იყოს იგი საქართველოს მტერ-მოყვარისათვის. ბატონმა გივიმ ექსკლუზიურად გაზეთ "ილორისათვის" შექმნა ამ ნომერში შემოთავაზებული წერილი, მალე კი მკითხველს მივაწვდით ნაწყვეტებს მისი რომანიდან.**

**დღეგრძელობა და ბრძოლისადმი დაუცხრომელი ჟინი ვუსურვოთ ჩვენს ულალატო მეგობარსა და თანამდგომს ბატონ გივი სომხიშვილს!**

ჰიტლერის ყოფილმა თანამებრძოლმა – გენერალმა ლენდერდორფმა ნაცისტური რეჟიმის დამყარების მეორე დღეს, დეპეშა გაუგზავნა უკვე გადამდგარ პრეზიდენტ ჰინდენბურგს: **"მე თქვენ საზეიმოდ გიწინასწარმეტყველებთ, რომ ეს ბედკრული ადამიანი უფსკრულში გადაჩეხავს ჩვენს იმპერიას, უსაზღვრო უბედურებას დაატეხს თავს გერმანელ ხალხს და მომავლის ისტორია შეაჩვენებს თქვენს საფლავს, ეს რომ ჩაიდინეთ".**

არ ვიცი, ვარდების რევოლუციის პირმშოზე რომელმა მათმა ყოფილმა თანამოაზრემ ბუშს, სოროსს ან ბელზებელს ამგვარი წერილი გაუგზავნა თუ არა, არც საქართველოა იმპერია, მაგრამ ქართველი ხალხის თავზე დატეხილი უბედურება სახეზეა. თუ დიდმა და ძლიერმა გერმანელმა ერმა ნაცისტურ კოშმარს ძლივს გაუძლო, პატარა და მრავალტანჯულ საქართველოს უფსკრულში გადაჩეხავს ამ ნაცისტთა პარპაში.

რაც არ უნდა ორგანიზებული იყოს ქუჩაში მოთარეშე ავაზაკების, ცრუპენტელების, ხალხის მაოხართა ბრბო, მათ მალე მიუჩენენ ადგილს ისე, რომ მიყენებული ზიანი იმ ქუჩას შორს არ გასცდება. ხელისუფლების სათავეში გამძვრალი ამგვარი ხროვის მიერ ქვეყნისათვის თავსდატეხილი უბედურება განუსაზღვრელია. ასე რომ არ მოხდეს სიფხიზლეა საჭირო, რის მოდუნებაც ხალხს ძალიან ძვირად უჯდება.

ჩვენი ახლანდელი ე.წ. ხელისუფლება სიცრუით და დემაგოგიით ქვიშაზე აგებს თავის მუხთლობის კოშკს, რასაც დიდ წარმატებად ნათლავენ თანამოაზრეები და თავს უქნევს დაშინებული ობივატელი.

ესენი ხალხის დაბეჩავების დონის შესამოწმებლად დროდადრო აწყობენ მის ძარცვას. თუ მორიგი მცდელობა ჯერ არ გავიდა, უკან იხევენ და შესაფერის მომენტს უცდიან. ერთხანს ისე აიწყვიტეს, ტყეში მაჟალოს და მაყვლის კრეფისათვის აჯარიმებენ; პრესტიჟულ უბნების მაცხოვრებლებს კვადრატულ მეტრ ფართში გადასახადის გადახდას უპირებდნენ, რათა ვერგადახდის შემთხვევაში თავად ჩაეგდოთ ხელში; აკრძალეს გარე ვაჭრობა და ვინც არ მოსწონდათ, ჯიხურები დაუნგრიეს. ხალხის ქუჩაში გამოსვლით დამფრთხლები ტყეში მაჟალოს დაკრეფაზე ჯარიმებს შეეშვნენ; პრესტიჟულ უბნებში მცხოვრებთა ძარცვის სურვილი დროებით დაიოკეს; ახლა გარე მოვაჭრეები სადაც უნდათ იქ ვაჭრობენ, სამაგიეროდ, როგორც კი ოპოზიციამ თავისი უხერხემლობით ხალხი დააწყნარა, მაშინვე დაიწყეს ობელისკების ნგრევა, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გასხვისება, სახელმწიფო ქონებით სპეკულაცია, ბიზნესის დაყაჩაღება, წილებში ჩადგომა, არასასურველი პირების დათრგუნვა-მოსპობა, **"მოუსყიდავი"** მწერლებისა და ჟურნალისტების დაწიოკება.

აღშფოთებული ხალხის ქუჩაში გამოსვლით ისევ დაფრთხნენ. კვლავ იმარჯვა ოპოზიციამ, დააშოშმინა ხალხი. ამათაც დასცხეს ცხინვალს **"გრადები"** და აამუშავეს ჩვეული სიცრუის მექანიზმი ისე, რომ თვით ბარონი (ჯო) მიუნჰაუზენიც კი გაკვირდებოდა.

ოცდამეერთე საუკუნის სასწაულები ისეთივე უცნაურია, როგორც თვითონ ცივილიზებული სამყაროს დახვეწილი სიცრუის მექანიზმი. თანამგზავრიდან ადამიანს წამწამის ღერებს უთვლიან, ომის დაწყება ბებიის სკივრიდან ჩურჩხელის მოპარვა ხომ არ იყო, რომ ომის დამწყების დასადგენად კომისია გამოყვეს.

განა სამარცხვინოზე უარესი არ არის, როცა რუს გენერალს ფულს სთავაზობდნენ, გორში სტალინის ძეგლი დაბომბეთო. რუსებმა ეს არ იკადრეს, ამათ კი ადგილობრივ არჩევნებში წარმატებული გაყალბებით გამარჯვების აღსანიშნავად სტალინის ძეგლს დაატაკეს ნაცისტური დუჟმორეული სიფათი და კალიგულას სამარცხვინო პრიზი დაიმსახურეს.

ჰიტლერი რომ მოსკოვს უტევდა, თან მარმარილო მიჰქონდა გამარჯვების მემორიალის ასაგებად. ამათ ხუთჯვრიანი დროშებით გატენილი ავტობუსი მიჰყავდათ ცხინვალში პომპეზური აღლუმის მოსაწყობად.

ომი ვინ დაიწყო, რატომ თემურ იაკობაშვილს არ ეკითხებიან, ტელევიზორიდან თავში დაგროვილი ორთქლის გამოშვებით რომ გვაკვირვებდა: ხუთასი ოსი ბოევიკი, ხუთასი რეზერვისტი მოვკალით და ზედ რუსი სამშვიდობოები მივაყოლეთო. ამ ავანტიურისას რამდენი ქართველი დაიღუპა, არ იციან. აბა, იაკობაშვილი ამისთვის ხომ ვერ მოიცლიდა, ის მოწინააღმდეგის დათვლაზე იყო დაპროგრამებული.

კუნძულ ჰაიტზე ძლიერი მიწისძვრისას რატომ იაკობაშვილს არ ჰკითხეს, რამდენი დაიღუპა, ან ვინ სად მოეტანა, ის ხომ მაშინვე გადაუწყვეტავდა ამ პრობლემას, როგორც პიპინიამ ფეხის წვერის ქვაზე წაკვრით ჩაკეტა გზა. გაისვრიან ზარბაზანს და მან უკვე იცის, რამდენი მოკვდება, უფრო მეტიც, იცის, აქედან რამდენი ბოევიკი, რეზერვისტი ან რუსი სამშვიდობოა. ამხელა გენიოსს შეიძლება პანტის ზარბაზნის გამოგონებაშიც ჰქონდეს წვლილი შეტანილი, აქ რამდენი მოკლა და იქ რას იზამდაო...

განა შეიძლება ამათ იუმორის გრძნობა დაუწუნო, როცა მინისტრს აქ საკმაო მოღვაწეობის შემდეგ ლონდონში აგზავნიან სასწავლებლად. ასე გააგზავნეს განათლების მინისტრი, მაგრამ რა ეშველება ამდენ გაუნათლებელ განათლების მუშაკებს?! ყველა ხომ ვერ წავა ლონდონის ნუცას სკოლაში ორჯერ ორის სასწავლებლად? თუმცა ათასი მასწავლებელი ჩამოიყვანეს, ინგლისურად რომ გამოგვათაყვანონ.

ისე კი, ამ ხელისუფალთ, ჰიტლერივით, რაც მოელანდებათ, სიმართლე ჰგონიათ. ისიც იძახდა: ათასწლიანი რეიხი მექნებაო და თერთმეტწლიანი სიგიჟით გერმანია მიწასთან გაასწორა; თან ყოველივე ამას გერმანელ ხალხს აბრალებდა.

არ ვიცი, ამ **"მიშა, მიშა"**-მ რა სიზმარი ნახა, მაგრამ უძველეს და მსოფლიო საგანძურის მარგალიტ ქართველ ხალხს სანამ მაგისგან მოწვეული ნუცას სკოლის ინგლისელები გააევროპელებენ, მანამდე ნიურნბერგის პროცესის მსგავსი სამსჯავროს მონახულება არ მოუხდეთ ამ ჰიტლერულ ბოდვებზე შხამიან სოკოსავით მომრავლებულ პატარა ნაცისტუკებს. ჰგონიათ, მუდამ ითარეშებენ და მათი დანაშაულის თანამონაწილე მოსამართლეთ მუდმივად შერცხვენილ სკამზე ჯდომას პირდებიან.

ერთი კაცი ხეზე ასულიყო და იმ ტოტს სჭრიდა, რომელზეც იჯდა. მეორემ ურჩია, მაგას ნუ ჭრი, ჩამოვარდებიო. არ დაუჯერა, მოჭრა და მიწას დაასკდა. დაჟეჟილ-დაფეხვილი იმ მრჩეველზე ბრაზობდა, დამთარსაო. არ ვიცი, ეს ნაცისტები განკითხვისას ვის დააბრალებენ დათარსვას. ერთი კი ცხადია, ერთმანეთს ღრენას და კბენას დაუწყებენ. ჰიტლერს ნოხად რომ ეგებოდნენ მისი პირსისხლიანი ვეზირები, გაჭირვებისას ყველაფერს მას აბრალებდნენ, მაგრამ...

ეს **"მიშა, მიშა"**-ს გოშიებიც მალე დაუწყებენ მასვე ღრენას, მაგრამ...

ალბათ ლონდონის ნუცას სკოლაში ერთხელ იაკობაშვილსაც გააგზავნიან სასწავლებლად, იქაური მწვრთნელები რომ გადარიოს ორჯერ ორი ხუთი, ჰა, ჰა ექვსია და შვიდს საიდან ღებულობსო!

ცხინვალის ავანტიურის შემდეგ უამრავი სოფელი დაიკარგა და ხალხი ლტოლვილებად იქცა. ამის გამო ყველა პატიოსანი და თავმომწონე ქვეყნის ხელმძღვანელი გადადგებოდა. ამათ წითელი ხიდისკენ გაჯირითების გულხეთქებამ გაუარა და ახლა იძახიან, გავიმარჯვეთო! არც სკამებს თმობენ, გრანდიოზული რეფორმებით აპირებენ ქვეყნის საბოლოოდ ამოგდებას. ამათზეა ნათქვამი, უნამუსო ვირზე შესვეს, ნეტავ ერთი გამაჭენაო. ყოველივე ამის შემდეგ მოუძებნე ამათ შუბლზე ნამუსის ძარღვი.

ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვეს და ოპოზიციად მონათლული ლაქიების წინასწარ დაგეგმილი მოლოცვაც მიიღეს. უკრაინაში აპირებდნენ არჩევნების გაყალბებას და იმდენი დამკვირვებლებად შენიღბული ამრევები გააგზავნეს, უკრაინელები შეშინდნენ, ოკუპაციას ხომ არ გვიპირებენო. შე დალოცვილო, ვისაც გეყურება, ესენი აქ დემოკრატიულ არჩევნებს გაღირსებენ?! ერთმა ამომრჩეველმაც რომ არ მისცეთ ხმა, თავს ყოველთვის გამარჯვებულად გამოაცხადებენ ამ ტაკიმასხარაობად ქცეულ არჩევნებში.

ეტყობა ამერიკელებს ისტორიის გაკვეთილები არაფრად მიაჩნიათ. ირანში დემოკრატი მოსადეკი დაამხეს და შაჰის რეჟიმი აღადგინეს ამ დემოკრატიის მქადაგებელმა მექოთნეებმა. ირანელმა ხალხმა კი შაჰი სამუდამოდ განდევნა და ამერიკელებიც შეიძულა ქოთანზე მონარქის ყურის შებმისათვის. გაუმაძღრობით და მუხთლობით კარგად გააცნეს თავი ლათინური ამერიკის ხალხებსაც. ალბათ, საქართველოში ასე დაამთავრებენ დემოკრატიის ნიღაბაფარებულ მოღვაწეობას თუ დროზე არ შეეშვებიან ამ ქოთნის ნაცისტების გამოკვებას.

ქართველმა ხალხმა ისტორიის ქარტეხილებს ზნეობის სიწმინდით, ნამუსით და პატიოსნებით, წინაპართა და უფროსი თაობის პატივისცემით, საამაყო ეროვნული ტრადიციების დაცვით გაუძლო და ვერავითარი ძალა ვერ მოერევა, სანამ მისი ერთგული იქნება. ესენი კი უზნეობის, გარყვნილების, უნამუსობის, თავხედობის და ყოველგვარი სიბინძურის ჩათესლებით ცდილობენ ერის გარყვნას, რასაც მისი დაკნინებისა და ბოლოს მოღებისაკენ მივყავართ.

რომს ჰყავდა გახრწნილი იმპერატორი – ჰელიოგაბალი, მამათმავალი, დედათმავალი და ათასნაირად ჩაბინძურებული, რაც კი ადამიანის გაუკუღმართებას მოუგონია. აღმოსავლეთში გასეირნებიდან რომში ჩაიტანა და დადგა მამაკაცის ორგანოს მსგავსი ძეგლი.

ახლა ესენი ამ გაუკუღმართებული ადამიანების დემონსტრაციას მოინდომებენ, თუ დარწმუნდნენ, რომ ქართველი ხალხი ამ დონემდე დააბეჩავეს და ამ საქმეში ფსევდოოპოზიციის წახმარებით გამარჯვებულად ჩათვალეს თავი.

მამათმავლობა, თუ რაღაც მისი მსგავსი ოხრობა, ისეთივე დასაგმობი და სამკურნალოა, როგორც ნარკომანობა. მაშ, მოაწყონ ნარკომანების აღლუმი ამ ყველა უბედურების ავტორებმა.

გმირთა მოედანზე დარჭობილი ბოძი რაღაცნაირად კი მიამსგავსეს ჰელიოგაბალის მიერ რომში დადგმულ ძეგლს, მაგრამ მისი ბედის გახსენებაც არ აწყენდათ.

მოსპეს მეცნიერება, კულტურა, მთელი სახალხო მეურნეობა; ებრძვიან განათლებას, მწერლობას, მართლის მთქმელ ჟურნალისტებს; გაყიდეს და გაასხვისეს საქართველო. უარყოფენ იმ გმირულ გზას, რაც ქართველმა ხალხმა ფაშიზმთან ბრძოლაში თავისი საყვარელი შვილების სისხლის და სიცოცხლის ფასად გაიარა და ღირსეული წვლილი შეიტანა კაცობრიობის ამ საზარელი ჭირის მოსპობაში. მოკლედ, ამათი ბოროტების აღწერა მრავალწახნაგაა. ერთი კი ცხადია, მოხვეჭაზე, ხალხის ძარცვაზე, საკუთარი ნაჭუჭის მოპირკეთებაზე დახარბებული, ქვეყნის მოღალატე ხელისუფლება ხალხის რისხვას ვერსად გაექცევა.

თურმე, მსოფლიო დემოკრატიის მედროშე – **აშშ** ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. იგივე ამერიკაც ებრძოდა ფაშისტურ ჭირს. გასაკვირია, რატომ უჭერს მხარს ამ ქოთნის ფაშისტებს?! განა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ობელისკების დანგრევა თვითონ ამერიკელი ხალხის შეურაცხყოფა არ არის?! მაინც კარგი შეღავათია, რომ ობამას ადგილზე **"მიშა, მიშა"** არ ზის, თორემ მაშინ გენახათ მსოფლიოს გადარევა.

ერთი კია, საქართველო პატარა ქვეყანაა და ამათ მიერ ამღვრეული ცხოვრება მხოლოდ ქართველ ხალხს წამლავს. ამათი მკვებავი უცხოელები კი ისე ერთობიან ამ ქოთნის ფაშისტების მიეთ-მოეთით, როგორც აქვარიუმში მოტანებული პირანიების კბილთაღრჭენით.

თუ ასე არ არის, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ხსოვნის შეურაცხყოფა ხომ ყველა იმ ხალხების აბუჩად აგდებაა, ვინც ესოდენ დიდი მსხვერპლი გაიღო მის მოსასპობად? მაშ რატომ დუმან იმ სახელმწიფოთა მექოთნე ხელისუფალნი?! ან იქნებ ჰგონიათ, რომ ფაშიზმის შხამიანი თესლი მათ ქვეყანაში არ გაღვივდება?! ნუთუ ფიქრობენ, რომ ქართველი ხალხის დაბეჩავებამ და ახალგაზრდობის ზომბირებამ ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომ ბოროტებას სიკეთედ და ღალატს ერთგულებად აღიქვამს? არა, ბატონებო, ქართველი ხალხის მოთმინების ზამბარა ზღვრამდეა შეკუმშული და ყველა პარაზიტის მოსასპობად გაიშლება.

ირანის უღლის ქვეშ ქართველები ავღანეთში ირანის შაჰის ამბიციების დასაპურებლად ომობდნენ; საბჭოთა კავშირის დროს ბრეჟნევის მიერ მოგონილ ინტერნაციონალურ მოვალეობას ეწირებოდნენ; კარგი, ახლა ხომ დამოუკიდებელი ხარ, რა გინდა ავღანეთში, როცა ქვეყანაზე ჭერი გაქვს მოხდილი, ვის კუბოში წვები?! ან იქნებ **"დამოუკიდებელი"** ნიღაბზე გაწერია, სინამდვილეში კი ანკესზე გამობმული დოლარზე დახარბებული გოშია ხარ?!

ეს თქვენ, ქოთნის ნაცისტები ხართ გოშიები!

ქართველი ხალხი კი ისე გაიბრძოლებს, რომ ნიურნბერგის პროცესი გენატრებოდეთ!

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**

**შაირების მოტივზე თქმული**

**ამერიკელთა ხუშტურზე**
**თხა ხან მგელი, ხან კვატია,**
**აფთრების მსხვერპლით ღრეობას**
**მონათლავს დემოკრატიად.**
**კურდღელი მგელს ეხუტება,**
**პარტნიორები ვართო;**
**მგელი მას ვახშმად ინახავს,**
**კურდღელი ტრაბახს არ თმობს.**
**ალგეთის მგლებად ავტეხეთ**
**თავისუფლების გნიასი,**
**ბოლოს გოშიად ვიქეცით**
**ამერიკელი ძიასი.**
**თუ შემოგაცვდა ნიღაბი,**
**დარჩი მუხთლობა შიშველი,**
**გაგიწყრა ხატი და ჯვარი,**
**ნათელმხილველი გიშველის?**
**რაც გვებადა, გავყიდე,**
**გამოძეხი მარტო შინ,**
**ხალხის რისხვით დამფრთხალი**
**ტყავს მიათრევ ნატოში.**
**მიშისტების ბოდვანი**
**ფოთოლცვენით ბუშს ერთვის,**
**ვინც მართალი სიტყვა თქვა,**
**აგენტია რუსეთის!**

**ნაბუშრების ქადილი**

**აღმა-დაღმა ვახრიგინებთ**
**საქართველოს ჭირს კარეტით,**
**რუსეთს დავშლით მაკ-კეინის**
**ჟანგიანი "პისტალეტით".**

**წინაპართა ხსოვნას ვუღრენთ,**
**პირს გავუვსებთ ნამუსს ჩვრებით,**
**ბუშის ქუჩა ძეგლად დავდგით,**
**ჩვენც ვამაყობთ ნაბუშრებით.**

**ობელისკებს გესლს ვაწვიმებთ**
**სოროსის მთხლე შინაყმისას,**
**მალე თავით შევასკდებით**
**თელავში ძეგლს ირაკლისას!**

**გივი სომხიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

*აღნიშნულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს ვაუწყებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.*

*ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.*

ქსენოფონტეს დროსთან შედარებით ქართველების ბინადრობის სივრცე შესამჩნევად შემცირებულა. სტრაბონი მოგვითხრობს: ამბობენ, რომ სომხეთი, რომელიც თავდაპირველად პატარა სამფლობელო იყო, არტაქსიმ და ზარიადრმა გაადიდესო... პირველი რომ სოფენში, აკილისენში და ოდომანტში გამეფდა, ხოლო მეორე არტაშატის (არტაქსატის) მახლობლად, მათ სომხეთი გააფართოვეს და ის მიწები მიუმატეს, რომელიც მეზობელ ერებს ჩამოაჭრესო... ხალიბებსა და მოსსინიკებს – მცირე სომხეთის მოსამზღვრე კარინი და ქსერქსინი, ეხლა ყველა ეს ხალხები ერთ ენას ლაპარაკობენო (**Geographika lid**. XI. **cap.** XIV, 5). სტრაბონის სიტყვით, არტაქსიცა და ზარიადრიც ანტიოქოზ დიდის (227-187) სარდლებადა ყოფილან და მხოლოდ იმათ ბატონის დამარცხების შემდგომ გამეფებულან. მაშასადამე მათ ხალიბებისა და მოსსინიკებისათვის მხოლოდ 191 ანუ 190 წ. შემდგომ ქრ.წ. ანუ მეორე საუკუნის დასაწყისს ქრ.წ. წაურთმევიათ მიწები; ისინი ალბათ მცირე სომხეთის მხრით შემოესეოდნენ ხალიბებს და ამ შემოსევის დროს ორი მაზრა ჩამოუცლიათ კიდეც; მაგრამ პოლიტიკურ დაპყრობის გარდა ახალ შემოერთებულ ქვეყნებში სომხეთიდან, როგორც ჩანს, ხალხიც გადასახლებულა: სტრაბონის სიტყვით იმის დროს კარინსა და ქსერქრინაში ხალხი უკვე სომხურსა ლაპარაკობდა; ეტყობა, ერთი საუკუნის განმავლობაში ქართული ენა დაჩაგრულა და სომხური გაბატონებულა; მაშასადამე ამ ორი მაზრის მცხოვრებნი სომეხნარევი ხალიბები უნდა ყოფილიყვნენ; მართლაც, პლინიუს სეკუნდუსი ამბობს, რომ, იქ **"gens Armenochalubes"** – სომეხ-ხალიბების ტომი მოსახლეობდაო (**Naturalis Historia**, VI, & 12, **Латищев**, II, 178) ე.ი. გასომხებული ჭანები ყოფილან. იქნებ სწორედ იმ დროს, როცა არტაქსიმ და ზარიადრმა ხალიბებს მიწები ჩამოუჭრეს, გადარჩენილ ხალხის ერთი ნაწილი დასავლეთისაკენ გაიხიზნა და ერთის მხრით კოლხებს მიაწვა და ჩრდილოდასავლეთისაკენ მისწია, მეორეს მხრივ კი მოსსინიკებს და ისინიც სამხრეთისაკენ მთებში მიაგდეს. სტრაბონის ცნობებიდამ მაინც ცხადადა სჩანს, რომ, შავი ზღვის სამხრეთის ნაპირებზე ქართველ ტომების მოსახლეობა თანდათან შესამჩნევად მცირდებოდა.

არრიანის მოწმობით მეორე საუკუნეში ქრ.წ. მთელი ეს ქვეყანა რომის ხელმწიფის ან მფარველობას, ან არა და ბატონობას ემორჩილებოდა. წვრილ-წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებული ქართველი ტომები ზოგი შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი იყო, ზოგს კიდევ იმპერატორის დანიშნული მოხელე განაგებდა (**Латищев**, I, 219-222). შემდეგ ხომ თითქმის ყველანი ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდნენ; ყველას მოუხარეს ქედი იმ ჭანების გარდა, რომელნიც მთა ადგილებში ბინადრობდნენ. მხოლოდ იმათი სახელი ღა ისმის საისტორიო თხუზულებებში, მაგრამ ისიც იმიტომ, რომ მეზობლებს მოსვენებას არ აძლევდნენ. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, ჭანები თავიანთ მაღალ-მთიან ადგილებიდან მინდვრად ჩამოდიან და ბარის მცხოვრებ ბერძნებს სცარცვავენო; კეისარი ყოველ წლივ მათ ოქროს უგზავნის, ეგებ ამით მაინც ჩემი სამფლობელო თავდასხმასა და ტყვევნას ავაცდინოო. მაგრამ ჭანებს ოქრო მიჰქონდათ, ფიცსაც სდებდნენ ეხლაკი ხელს არ გახლებთო, დრო-გამოშვებითკი მაინც ფიცს ივიწყებდნენ და მთელ ზღვის ნაპირას ცარცვა-გლეჯით იკლებდნენ ხოლმე (**Dell. Goth.** VI. I; პრ. დესტუნისის თაარგმანი I, 190-196). ქრისტიანობის საშუალებით ბიზანტიელებმა ბევრი ლაზები და ჭანები გააბერძნეს და ქართველებს საბოლოვოდ მოწყვიტეს. ჩვენ წყაროებში, თუ არა ვცდები, მხოლოდ სამჯერა გვხვდება ხალიბების სახელი; პირველად აბო თბილელის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: ქალდია ქ. ტრაპეზუნტითურთ ქრისტიანებით სავსეა და იონთა, ანუ ბერძნების მეფეთა საბრძანებელს ეკუთვნისო (საეკლესიო მუზ. გამოცემა. გვ. 19). მეორედ სუმბათის ქრონიკაში, სადაც აღნიშნულია: ბასილი კეისარმა, რომელიც გიორგი მეფეს ებრძოლებოდა, დაიზამთრა ქვეყანასა ხალდიასა (იქ შეცდომით სწერია **"ხალადასა"**), მახლობლად ქალაქსა ტრაპიზონთასა (სამი ისტ. ქრონ. გვ. 69). მაშასადამე მე-VIII-IX საუკუნოებშიც ეს ქვეყანა კვლავინდებურად ბიზანტიის კეისრის ხელში ყოფილა. ქართველებმა მხოლოდ მე-XIII საუკუნის დასაწყისს ჩაიგდეს მთელი ეს ქვეყანა ხელში; როცა ბიზანტიის კეისარმა ალექსი III (1195-1203) ბერებს თამარ ნეფის ნაჩუქარი ოქრო წაართვა, მაშინ თამარმა ანგაარ კეისრის დასასჯელად ჯარი გაგზავნა და **"წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლომანი, სამისონი, კერასუნდი, კიტორა (კოტიორას), ამასტია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონიისა და პონტოსანი"** (ქართ. ცხ. ზ. ჭიჭინაძის, გამოც. გვ. 473). მაგრამ იმის მაგივრად, რომ მრავალ საუკუნოების განმავლობაში ქართველებზე დაშორებული და მოწყვეტილი ღვიძლი ძმები ლაზები და ჭანები ქართველობისაკენ მოებრუნებინა და დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს სამეფოსათვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დააარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ანდრონიკეს შვილს უბოძა. როცა შემდეგში ეს სამეფო ოსმალებმა დაიპყრეს, მაჰმადიანობამ ლაზებს შორის ფეხი მოიკიდა და გადაგვარებას ხელი შეუწყო. ამისდა მიუხედავად ბევრს მათგანს ეხლაც-კი თავისი დედაენა არ დაუკარგავს და ლაზურად ლაპარაკობს. ინგლისის კონსული ვ. ჯიფფორდი პალჰერი თავის 1868 წელს ტრაპიზონში დაწერილ მოხსენებაში ამბობს: ტრაპიზონის ვილაიეტში, რომელიც შეკვეთილიდან იწყება და ყიზილ ირმაყამდის (ძველი ღალისი) გასტამს, ოფიციალურის ცნობებით 850.000-მდე მცხოვრებია, მათ შორის 56.000 ქრისტიანია (ორი მესამედი თავის თავს ბერძნებს ეძახის, ხოლო დანარჩენნი სომხები არიან); მაჰმადიანები განსაკუთრებით ლაზები არიან, ხოლო თვით ლაზისტანში ლაზების მეტი არავინა ცხოვრობს, თერევას კაიმაკანში (ოლქი) ქ. კერასუნტისაკენ ერთს მაზრაში (კაზა) განსაკუთრებით ლაზები ცხოვრობენო (იხ. **Известия Кавказ. О. Р. Геогр. Общ.** 1881 წ. წიგნი VII, დამატება, გვ. 15, 17, 59-60 და 68). ამგვარად თუმცა ლაზურ-ჭანურ შტოს ერთმა წილმა დედაენა შეინარჩუნა, მაგრამ ქართველ ტომების საერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოსწყდა და ამისა გამო საქართველოს მერმინდელ ისტორიისათვის მათ არსებობამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია. მე-VII საუკუნიდან ქრ.წ. მოყოლებული შავი ზღვის სამხრეთაღმოსავლეთის ნაპირებისა და მისი მომსაზღვრე ქვეყანაში არას დროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ფეხი არ შეუდგამს და არ მოუკიდნია; მაშასადამე ქართველებს არც შეეძლოთ რომ აქ თავიანთი ენაკილოკავები რაიმე გზით გაევრცელებინათ; პირიქით, სპარსების, ბერძნებისა, რომაელებისა, სელჯუკებისა და ოსმალების ხანგრძლივ ბატონობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა ადგილობრივ მკვიდრთა დედაენაში და მოსალოდნელიც იყო, რომ მათ თავიანთი დედაენა დაევიწყნათ. თუ მრავალ უცხოელთა ხანგრძლივ ბატონობის მიუხედავად იქ მაინც ლაზურჭანური ლაპარაკი ეხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი საბუთია და მომსაწავებელი, რომ ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსსინიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ.

შავიზღვის აღმოსავლეთის მხარე და კავკასია, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, სტრაბონზე ადრე არავის არ აუწერია. ურარტის სამეფოს გარდა, მთელ ამ ქვეყნისა და მცხოვრებთა ვრცელი, დალაგებული აღწერილობა ქტისტეს წინად სრულებით არ მოიპოვებოდა. მაშინდელი ამიერ კავკასია ოთხ უმთავრეს ნაწილად იყო დაყოფილი. შავი ზღვის პირას კოლხიდა მდებარეობდა, მერე იბერის იყო, რომელსაც ალბანია მისდევდა კასპის ზღვამდე, სამხრეთი სომხეთს ეჭირა. ზემოდ გამორკვეული იყო, თუ სადა ცხოვრობდნენ კოლხები მე-IX-VII ს. და V-IV საუკ. ქრ.წ., სტრაბონის დროს კი, ესე იგი პირველ საუკუნის დამდეგს ქრ.წ. კოლხიდა დიდ სამეფოდ ითვლებოდა და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირები ეპყრა. სტრაბონის თხზულების სხვა და სხვა ცნობების საშუალებით შეიძლება გამოვარკვიოთ, რა სამზღვრები ჰქონდა მაშინ კოლხიდას. **"ჰენიოხების იქით, კავკასიისა და მესხეთის მთებს შორის"**, ამბობს შესანიშნავი გეოგრაფი, **"კოლხიდა მდებარეობსო"** (**Geographika lid**. XI. **cap.** II, 14). მაშასადამე კოლხიდის ჩრდილოეთ სამზღვრად კავკასიონის უღელტეხილი ყოფილა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მესხების მთები. ეს დასკვნა სტრაბონის მეორე ცნობითაც მტკიცდება. **"შავი ზღვის ნაპირი, ამბობს იგი, პიტიუნისა და დიოსკურიადასთანა თავდება. კოლხიდის ეს ადგილიც ხომ ამავე ზღვის ნაპირს ეკუთვნის. დიოსკურიადას მისდევს ზღვისპირას დანარჩენი კოლხიდის მიწები და მისი მომსაზღვრე ტრაპიზონიო"** (**id. lid.** XI **cap.** II,14). ქ. ბიჭვინთა და დიოსკურიადა კოლხიდაში ყოფილა მაშასადამე. ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მეზობლად ტრაპიზონი ჰქონია; ცხადია, ეს ქალაქი კოლხიდას არ ჰკუთვნებია. აღმოსავლეთით კოლხიდას იბერია ჰსაზღვრავდა, მიჯნად კოლხიდის ციხე შორაპანი იყო (**id. lid.** XI **cap.** III,4). დასავლეთით ხომ შავი ზღვა ერტყა.

პროკოპი კესარიელის თხუზულებიდანა ჩანს, რომ მე-V-VI-ე ქრ. შემდეგაც კოლხიდას, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ ხოლმე ლაზიკას, იგივე სამზღვრები ჰქონია, რაც სტრაბონის დროს: აღმოსავლეთით ისევ შორაპანთან თავდებოდა სამზღვარი (**De dello persico** II, თავი 29, პრ. დესტუნისის თარგმანის II გვ. 225-6). სამხრეთით კოლხიდის მიჯნა ქ. პეტრასთან იდო და იქვე ბიზანტიის კეისრის საბრძანებელი იწყებოდა (**id.** II თავი 29. გვ 229). ჩრდილოეთის სამზღვარიც იგივე დარჩენილა: პიტიუნი და სებასტოპოლი წინანდებურად ლაზებს ეკუთვნოდათ თურმე (**id.** II თავი 29. გვ 225).

სტრაბონის, პლინიუსისა და პტოლემეს თხზულებებში კოლხიდის შემდეგი მდინარეებია მოხსენებული: რიონი, რომელსაც სტრაბონი ფაზისს ეძახის, პლინიუსი კი როანს (**Rhoan Rhion**-ის მაგიერ). ერთსაცა და მეორესაც რიონის სათავე სამხრეთით ჰგონიათ (სტრაბონს სომხეთში **Geogr. lid.** XI **cap.** II,17; პლინიუსს მესხეთში – პლინიუსი ჭოროხსა და რიონს ერთმანეთში რევს, **Naturallis historia, lid.** VI, & 11) მაგრამ სტრაბონი ერთ ალაგას თავის შეცდომას ასწორებს და ამბობს, ფაზისს იბერიის ზემოდ მდებარე მთებში აქვს სათავეო (**Georg. lid.** XI, **cap.** III,4). რიონს ერთვის ყვირილა და ცხენის წყალი (**ippos**). პლინიუსი ხოფის წყალსაც იხსენიებს, კავკასიის მთებიდან ჩამოდის და სათავე სვანეთში აქვსო (**Natur. hist. Lid.** VI, &11). სტრაბონი მოგვითხრობს, რომ ფაზისის ზღვაში შესართავთან იმავე სახელის ქალაქი და ნავთსადგური ძევს; მას ერთი მხრით ზღვა აკრავს, მეორეს მხრით მდინარე, მესამე მხრით ტბაო (**Georg. lid.** XI, **cap.** II, 17). აღწერილობა იმდენად ცხადია, რომ შეუძლებელია იგი ეხლანდელ ფოთად არ ვაღიაროთ, რომელსაც პალეოსტომი, რიონი და ზღვა არტყია. სტრაბონი მოგვითხრობს, რომ კოლხებს მესხების ერთი რომელიღაც ქვეყანა ჰქონდათ დაპყრობილი, მაგრამ სამწუხაროდ სახელს არ იხსენიებს (**id. lid.** XI **cap.** II,18).

კოლხიდის მოსახლეობა მეგრულლაზურ შტოს ეკუთვნოდა. პლინიუსი ამბობს: **"ზღვის პირას ჰენიოხები (რომელთაც იგი სანების ანუ ზანთა ტომადა სთვლის – gens Sannorum Heniochorum), ამპრევტები (Ampreutae), ლაზები... და შემდეგ კოლხების ტომები ცხოვრობენო"** (**Natur. Historia lid** V, &11). პტოლომეს სიტყვით ზღვის პირას კოლხიდაში ლაზები ცხოვრობდნენ, იმათ ზემოდ მეგრელები (**magraloi**) და ეგრისში მოსახლე ტომებიო (**Geogr. lid**. III. **cap.** IX, 5). პირველ საუკუნეს ქრ.წ. შემდეგ კოლხიდაში ლაზებისა და მეგრელების ტომები ცხოვრობდნენ; ძველად, როოგორც ეტყობა, უპირატესობა და ძალა კოლხების ხელში ყოფილა, – ეს იქიდანა ჩანს, რომ მათ მთელ ამ ქვეყანას თავისი ტომის სახელი – კოლხიდა – მიანიჭეს; მერე ლაზები გაძლიერებულან და ამავე ქვეყანას ლაზიკა დაერქვა.

პლინიუსისა და პტოლემეს ცნობები ამტკიცებენ რომ კოლხიდაში მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს წარმომადგენელი ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ ამას ცოტა არ იყოს ის გარემოება არღვევს, რომ ეხლა იმ ადგილებში, სახელდობრ გურიასა და იმერეთში მეგრული-კი არა, ქართულია გაბატონებული. გურულები და იმერლები მეგრელ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუა გულში არიან შეჭრილი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმანეთისაგან აშორებენ. ამის მიუხედავად ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად მთელ კოლხიდის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდათ, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის სარეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინად მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო; ბევრ სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არადა, მაგალითად: ჯიხანჯირი (ჯიხა-ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი – მუხა {რკონ}), მდინ. **ო**ჩხამური (ო+ჩხოამური, ჩხომი – თევზი, როგორც **ო-**კალმახე (**А. Цагарели Этюды**. II, 71), **ო-**ჭილაური (**ო+ჭილა+ური**= სა**ჭილ**ავო , ჭყვ**იში**, ჭყვ**იშ**აური, **ჭანი**ეთი, მდ. **გუბა**ზეული, მდინარე კინტრ**იში**, **ო**ნჭიკეთი და სხვა. ამგვარ სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის ცხადია მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს შეეძლოთ, მაშასადამე ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო გურიაში-კი არა. ეხლა ცხენის წყალი მეგრულის აღმოსავლეთის სამზღვრად ითვლებს (**А. Цагарели Этюды**); საგეოგრაფიო სახელები კი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ. მაგალითად: სოფ. ჯიხა**იში** (ჯიხა – ციხე), ჩხენ**იში**, კულ**აში**, ნა**ჯიხ**ევი (=ნაციხევს). ქუთაისის ჩრდილოეთითაც მდ. რიონის მიდამოებიც ძველად მეგრელებს უნდა სჭეროდათ; აქაც ასეთი საგეოგრაფიო სახელები გვხვდება, როგორც მაგალითად: **ჯიმა**სვარა (ჯიმა=ძმა), **ო**ფურჩხეთი, ვანჭე**ში**, ტყვ**იში**, ნაკოროლე**ში**, გცვერ**იში**, სურმუ**ში**, კორენ**იში**, **ო**კრიბა და სხვა. თვით პლინიუსი ამბობს: რიონი მეგრელების მიწაზე დიოდაო (**Rhion regio Engritike, natur. hist. lid** VI, &11, **Латищевь, Известия II, 179**) ასე უნდა იყოს, შეცდომით სწერია **Rhoan regio Cegritice**). საგეოგრაფიო სახელების შესწავლა მაშასადამე უეჭველ ჰყოფს, რომ მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც კოლხიდის სამზღვრებს შუა იყო მოქცეული, თავდაპირველად მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს ეკუთვნოდა. ასე იყო, როგორც ჩანს, სტრაბონისა, პლინიუსისა და პტოლემეს თხუზულებებიდან, პირველს ორს საუკუნეში. შემდეგ, – დაახლოვებით დროს განსაზღვრა ჯერჯერობით შეუძლებელია, – ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი, ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილან და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილ ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართლელებულ მეგრელლაზებად უნდა ჩავთვალოთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# “მეგრული ნაციონალიზმი“ ანუ შეთქმულება ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ

***ამით ვამთავრებთ ნაწყვეტების ბეჭდვას ცნობილი ქართველი ჩეკისტის ბატონი გიორგი ხუფენიას მოგონებიდან.***

შემდეგში, როგორც ცნობილი გახდა ა. მგელაძემ დასტურის გარდა პირადი ინიციატივით ბევრი რამ არ არსებული შექმაზა **„მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფის“** არსებობის განსამტკიცებლად.

დიახ, წრე-ხაზი უკვე საბოლოოდ შეიკრა.

1951 წლის ნოემბრის თვის მეორე ნახევარში უკვე გამოდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი დახურული წერილი, რომელსაც მოჰყვა მასიური დაპატიმრებები, ციხეში ზიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოქმედი და ყოფილი მდივნები, მეგრული წარმოშობის ყველა მინისტრი და მინისტრის მოადგილეები, რესპუბლიკის გენპროკურორი და მისი მოადგილე, კომპარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტის მდივნები, სამეგრელოს რაიონული კომიტეტის უკლებლივ ყველა პირველი მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები, პროკურორები, სახალხო მოსამართლეები, მოწინავე საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები. ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობიდან სახელდახელოდ გაიყვანეს სახელოვანი მწერლები, რომლებიც ქართული ენისა და მისი ერის სადიდებლად დაუღალავად იღწვოდნენ და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიუთითებდა, რაღაც გრანდიოზული შეთქმულებების არსებობაზე სამეგრელოში. გთხოვთ, მიაქციოთ ერთხელ კიდევ ყურადღება და საქართველოს კომპარტიის დადგენილების ფორმულირების იმ ნაწილში, სადაც პირდაპირი მითითებით ლაპარაკია – **„მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფის“** შესახებ (ჯერ კიდევ იმ დროის ტერმინი **„სეპარატიზმი“** ხმარებაში არ იყო), მაგრამ აქ უფრო შორს წავიდნენ, ფაქტი იმაზე, რომ როდესაც მეგრელთმოძულე, ქართველი ერის მტრებს, მეგრელთა დაწიხვლა დასჭირდათ, მაშინ ცალკე ეროვნებად მოვინათლეთ და ბრალდების ამ დროშით ულმობელი ბრძოლა იყო გამოცხადებული მეგრელი ხალხის საწინააღმდეგოდ.

მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ვიცოდეთ თუ რას ფიქრობდა ამ დროს მეგრელი ინტელიგენცია.

მოგვყავს იმ ხანებში დაპატიმრებული პატიმრის ხაჯი გიგიბერიას დაკითხვის ოქმის ამონარიდი, რომელიც ზუგდიდის ციხეში იჯდა.

პატიმარი ხ. გიგიბერია პროფესიით ისტორიკოსი, ადრე მუშაობდა ზუგდიდის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში დირექტორად, რომელიც ქალაქის აქტივში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

დაკითხვა შედგა პატიმარი ხ. გიგიბერიას მოთხოვნით, რომელიც აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ვლადიმერ ვიქტორის ძე თოფურიამ და მე, იმ დროს ზუგდიდის უშიშროების სამსახურის უფროსმა გიორგი (ხუტა) ხუფენიამ, ჩემს სამუშაო კაბინეტში დავკითხეთ.

ხ. გიგიბერიამ თავიდანვე გაუბედავად და მოკრძალებით, მაგრამ დეტალებში დაიწყო საკითხის ირგვლივ განმარტების მიცემა. მისი ინფორმაცია **„მეგრელთა საქმეს“** ეხებოდა და ამ მიმართულებით წამოწყებული დევნა, გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა თანამდებობის პირთა დისკრედიტირებისათვის გამიზნულ ქმედებად მიაჩნდა.

მეგრელი პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების დაპატიმრება შემთხვევითი ამბავი არ გახლავთ – ასკვნიდა ხ. გიგიბერია და არც დაპატიმრებული პირები წარმოადგენდნენ დიდი მნიშვნელობის საგანს, ისინი იმდენად იმსახურებდნენ შეთქმულთათვის დაინტერესებას, რამდენადაც უცოდველი შესაწირავი ზვარაკებად ჰყავთ მიჩნეული და განკუთვნილი არიან შანტაჟის გამოყენებით მაღალ ინსტანციაზე გასასვლელად.

გაოცებული ვარ, როდის შემდეგ გავხდით ჩვენ, მეგრელები არა ქართველები, ასეთი რამე ვიღაც-ვიღაცეებს სჭირდებოდათ და ამიტომ არის არ არსებულს, რომ იგონებენ; მე, ამ ხნის კაცი ვარ და არ მახსოვს და არც ჩემი წინაპრებისაგან გამიგონია ნებისმიერ მეგრელს თუ გნებავთ იმითაც კი, რომლებიც შუაგულ ლაკადაში ცხოვრობენ და სალიტერატურო ქართულს ჯერ კიდევ სრულფასოვნად ვერ ფლობენ, ეთქვათ ქართველი არა ვართო, არადა მაშინ მიბრძანეთ ვინ მოჩმახა ან საიდან მოვიდა **„მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფი“,** როგორც ეს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დახურულ წერილშია მოცემული. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება სიტყვის ფორმულირებას **„ნაციონალისტური“**! რაო? მეგრული ნაციონალობა? როდიდან ჩამოყალიბდა ასეთი რამ, ნუთუ ახალი ერა შეიქმნა თვით ქართველებში. ეს საქართველოს გამთიშველების მიერ შეკოწიწებული საქმეა და ამით ერთიან ქართველობას შლიან. გთხოვთ კარგად ჩაიხედოთ საკითხის სიღრმეში. დამიჯერეთ, გარედან მოქმედებს ძირითადი ძალა შინაგანი ძალების უსინდისო ხელის შეწყობით. იცოდეთ მეგრელები – მეგრელებია, მაგრამ ყველა ქართველმა უნდა გაიგოს ასეთი უგუნურობით საქართველო რომ დაიღუპება...

...მე, პატიმარი ვარ და შეგიძლიათ ახლავე კედელთან მიმაყენოთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ჩემი ღრმა რწმენით ყოველივე ეს ლავრენტი პავლეს ძე ბერიას საწინააღმდეგოდ არის მოგონილი და შეთხზული.

(დაკითხვა მოხდა 1952 წლის სექტემბრის თვეში).

მინდა მოგითხროთ ჩემსა და 1952-53 წლებში საქართველოს უშიშროების მინისტრ-გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე კოჭლამაზაშვილთან გამართული საუბრის შესახებ.

ჩემი ყოფილი მინისტრის ჩამოსვლა სვანეთში, რომელიც იმჟამად თადარიგში იმყოფებოდა, მოულოდნელი იყო, მაგრამ უთუოდ სასიამოვნო და საინტერესოც.

მასთან ერთად საქმიანი მივლინებით იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნიკო რეხვიაშვილი სპეციალობით ისტორიკოსი, რომელიც ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის – ილია გოგიას ოჯახში ყოფილა გაზრდილი და მეგრულს შესანიშნავად ფლობდა.

სტუმრები ჩემი თხოვნით გადმოვიყვანე სოფელ ხაიშში და მოწყობილ სამოთახიან სასტუმროში დავიბანავე, რომელიც მდინარე ხაიშის თვალწარმტაც ბუნებას გადაჰყურებდა.

ადგილობრივი მოსახლეობის დაკითხვიდან მიღებული მონაცემების შემდეგ სტუმრები გავიდნენ სოფლებში, კონკრეტული საკითხების მოსაკვლევად. სხვათაშორის გავიგე მათი მეცნიერული დაინტერესების მიმართულება, მივაწოდე ძალიან საინტერესო ფაქტობრივი მასალები ადრინდელ პერიოდში დამზადებულ კერამიკულ მილებზე, რომელიც ქვედა იფარში შემთხვევით იქნა ნაპოვნი სატყეოსაზიდო გზის მშენებლობის დროს. აღმოჩენილი დიდძალი კერამიკული მილების საწყობის მაგვარი ადგილსამყოფელი მიუთითებდა თავის დროზე მათი მასშტაბური და ორგანიზებულ წარმოებაზე.

ერთ-ერთი საღამოს, მე და ბატონი საშა განვმარტოვდით. მსურდა გამერკვია 1953 წლის იანვრის თათბირიდან გამომდინარე მრავლისმთქმელი საიდუმლოებანი, რომელიც ამ შეკრებას ახლდა. როგორც გვახსოვს ჯერ იყო და ჩემს მიმართ სიტყვაში გამოსვლის დროს, პრეზიდიუმის ზოგიერთი პირის აშკარა დაპირისპირებული დამოკიდებულება, ხოლო შემდეგ მინისტრი – ა. კოჭლამაზაშვილის სასწრაფო გამოძახება და საოცრად თბილი და კოლეგიალური განწყობილების გამოხატვა.

ვუთხარი – ბატონო საშა, ორგანოებიდან ჩემს წასვლას რიგი მიზეზები უძევს საფუძვლად, მაგრამ როგორც ეს გუშინ გაირკვა მოგახსენეთ, მთავარი ორი ძირითადი საკითხი გახლავთ.

დიდი ანალიზი არ არის საჭირო გაერკვე სინამდვილეში, ცხადია ყოველივე ის, რაც ამჟამად მიმდინარეობს, ფაქტიურად რუსული შოვინიზმის გაფურჩქვნის დასაწყისია და რაც სტალინის მიმართ ხდება, მისი არა რუსული წარმოშობიდან გამომდინარეობს.

მეორე არა ნაკლებად მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ ის, რომ ლ.პ. ბერიას მიმართ შეთქმულთა იგივე ანტისტალინურმა ჯგუფმა არარსებული ცრუმასალების შეკოწიწებით რომ მიაღწიეს მის ღალატით მკვლელობას, რა თქმა უნდა, ამ პროცესსაც ქართველი ერის მიმართ ველიკორუსული შოვინიზმის საფუძველი უძევს საფუძვლად.

კოჭლამაზიშვილის სიტყვიდან:

“საგამომძიებლო მასალების ღრმად შესწავლამ დაბეჯითებით დამარწმუნა, რომ „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის მიმართ წაყენებული ბრალდება სახელმწიფოებრივი ღალატის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მაგრამ რეალური მდგომარეობის მიტანა ი.ბ. სტალინთან რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აკაკი მგელაძის გვერდის ავლით ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგან უშუალოდ. ა. მგელაძისა და მისი თანამზრახველთა მიერ იყო ასეთი ბრალდება ბელადთან დასმენილი. უკვე ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ გამომიყვანა მდგომარეობიდან, საქმე შემდეგში გახლავთ: მინისტრად დანიშვნიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ პირადად ი.ბ. სტალინმა დამირეკა სამსახურში. გასაგებია ასეთი რამ, იმდენად უჩვეულო იყო ჩემთვის, რომ შევცბუნდი, როგორც ეტყობა სტალინი მიხვდა ჩემი დაბნეულობის მიზეზს და ძალიან რბილ ფორმებში მელაპარაკა.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ ხნის მონაკვეთში, ანუ მის გარდაცვალებამდე ი.ბ. სტალინთან მისივე ინიციატივით სულ ოთხჯერ მქონდა საუბარი. აქედან, ჩვენს შორის შესდგა 1953 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში.

მე, მგონია ი.ბ. სტალინი ჩემგან რამდენჯერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ რამდენადმე დარწმუნდა, რომ „მეგრული ანტიპარტიული საქმიანობა“, რომელზეც ასე დაბეჯითებით უმტკიცებენ მას საქართველოს პარტიული ელიტის წარმომადგენლები, საეჭვო მხარეებს შეიცავდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ სტალინმა დამავალა „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის“ მიმართ არსებულ საგამომძიებლო და სხვა მასალების მიხედვით შემედგინა ყოვლისმომცველი დოკუმენტი და ასეთი წარმოდგენა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სახელზე. სხვაგან და არა მისი მისამართით, გაგზავნა ისეთი ხაზგასმით იყო თქმული, რომ მენიშნა თითქოს ამით იგი ამ პროცედურას რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

რაც შეეხება ჩვენთვის უკვე ცნობილ დოკუმენტს, ისტორიულად იმ რთულ შესასწავლ გზაზე ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ჩემი რწმენით გარკვეულ კავშირში იმყოფებოდა ი.ბ. სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებასთან. საქმე იმაში გახლავთ, რომ დოკუმენტი, რომელიც სტალინის დავალებით შევადგინეთ, შეჯერებული იყო ძიების ქვეშ მყოფ „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის“ წევრებზე არსებული ოპერატიული და საგამოძიებო მონაცემებით, რა თქმა უნდა დოკუმენტში ჩვენი მხრიდან რაიმე დასკვნები არ იყო გამოტანილი, მაგრამ მასში ჩადებული ფაქტობრივი მასალები თავის-თავად გამორიცხავდნენ დაპატიმრებულთა მხრიდან სახელმწიფოებრივი ღალატის კონკრეტულ ბრალდებებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ისეთ ქმედებას, რომლებიც შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო მხოლოდ და მხოლოდ როგორც თანამდებობრივი გულგრილობა. აღნიშნული მასალები კრებულში ჩვენს მიერ გაგზავნილი იქნა თებერვლის ბოლო რიცხვებში, ამდენად ჩემი ვარაუდით ეს დოკუმენტი ი.ბ. სტალინს უნდა მიეღო სიკვდილის წინა დღეებში. ამას ამიტომ ვუსვამ ხაზს, რომ იგი საყურადღებოა განსაკუთრებით იმითაც, თუ რა როდის შეასრულეს. ჩვენი თანამემამულეთა გარკვეულმა პირებმა აკაკი მგელაძის ხელმძღვანელობით შეკოწიწებული „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის“ მტრული სახელმწიფოებრივი ღალატის შესახებ, ასე დაბეჯითებით რომ უმტკიცებენ ბელადს და შეცდომაში შეჰყავთ იგი, ძალას კარგავდა, უფრო მეტიც, ამით ი.ბ. სტალინი ხალხისა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს წინაშე მოტყუებული და შეურაცხყოფილი გამოდიოდა. ამ ანალიზიდან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ საქმის ამდაგვარი მოულოდნელ შემობრუნებას არ შეიძლებოდა ი.ბ. სტალინში მწვავე ფსიქოლოგიური ღელვა არ გამოეწვია და ეს დასტურდება კიდევ იმითაც, რომ პირველ მარტს ი.ბ. სტალინი რატომღაც გაღიზიანებული გაემგზავრა კუნცოვოს აგარაკზე, ხოლო შემდეგ რაც მოხდა მეორე დღესვე ყველასათვის ცნობილი ფაქტია, ასე რომ ი.ბ. სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებაში, ჩვენ ქართველები გარკვეულ მიზეზებში ვიმყოფებით.

არსებული მეგრელთა საქმის შეკოწიწებამ, სტალინსა და ბერიას ურთიერთობაში წარმოშვა გარკვეული პრობლემა, რითაც ქართველებს დაგვაკარგვინა საუკუნეებით მტკივნეულად განცდილი სანუკვარი ოცნება – დიდი დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს მიწების გამთლიანების შესახებ, მაშინ, როდესაც ეს ბედნიერება 1950-51 წლებში რეალურად კარზე იყო მომდგარი. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ფაქტობრივი მასალა.

მომყავს ამონაწერი მწერალი ვ. ალფენიძის წერილიდან, რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა გაზეთ **„ცხოვრებაში“** და რომელიც ნიკოლოზ ქარჩავას **„საინტერესო ამბავთა სკივრში“** აქვს მოტანილი (გვ. 44-45 სახელობის სააქციო საზოგადოება **„სტამბის“** საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი 1997 წ.), სადაც ვკითხულობთ: ნაზიმ ჰიქმეთი (თურქი კომუნისტი, გამოჩენილი რევოლუციონერი, მწერალი და პოეტი, წლების განმავლობაში იმყოფებოდა თურქეთის ციხეში, როგორც პოლიტპატიმარი, განთავისუფლებულ იქნა სტალინის ჩარევის შედეგად და მოსკოვში ჩამოვიდა.) ერთხელ სტალინმა მიიწვია კრემლში, მაგრამ რატომღაც ბერიამ მიმიღო. ის წერს:

– რას იტყვი, თურქეთის პრეზიდენტობაზე? მკითხა ბერიამ გამომწვევად.

– თურქეთის პრეზიდენტობაზე? – გაოცებით ვკითხე მე.

ბერიამ შემატყო, რომ მოულოდნელობისაგან დავიბენი.

– შევარცხვინე ის თურქი, ვინც უარს იტყვის ამ თანამდებობაზე, – ვთქვი მე, – მაგრამ მოხერხდება ეს?

ბერიამ გაიღიმა.

– ერთი პირობით გახდებით სოციალისტური თურქეთის პრეზიდენტი, თუ დაუბრუნებთ საქართველოს ლაზისტანს, ტრაპეზუნტის ყოფილ იმპერიას, ტაოკლარჯეთს, სხვა ქართულ მიწებს.

თითქმის გულს დანა დამისვეს.

მე **„დავთანხმდი“**, მაგრამ ბერია მიხვდა, რომ **„ჰო“** უფრო **„არა“** იყო, ვიდრე **„ჰო“.**

ბერიამ მითხრა – უკვე შერჩეული გვყავს საქართველოს კ.პ. ლაზისტანის საოლქო კომიტეტის მდივანი.

– ქართველია? – ვკითხე მე.

– ქართველია, ლაზია – მიპასუხა ბერიამ, – შეიძლება ლაზისტანის საოლქო კომიტეტს საქ. კომპარტიის ტრაპეზუნტის საოლქო კომიტეტი უწოდოთ, მაგრამ ეს დეტალებია...

მიმიყვანა სტალინთან.

– როგორ მოგწონთ ბერიას წინადადება? – მკითხა სტალინმა.

– მე პირველ რიგში კომუნისტი ვარ, შემდეგ თურქი, გენერალსიმუსო სტალინ! – ვუპასუხე მე.

– სხვა პასუხს არც ველოდი, – მითხრა სტალინმა, – ჩიბუხი გააბოლა და დაუმატა: ამის შესახებ ჯერჯერობით ვიცით მხოლოდ ჩვენ სამმა – მე, შენ და ბერიამ. მეოთხემ ეს შენგან არ უნდა გაიგოს, სანამ ნებართვა არ იქნება. ეს ერთი, მეორე – ლაზისტანისა და სხვა ქართული მიწების დაბრუნების ინიციატივა უნდა გამოავლინოთ პირადად თქვენ, თურქეთის მომავალმა პრეზიდენტმა, ასეა საჭირო პოლიტიკური თვალსაზრისით...

**„მეგრელთა საქმის“** შეთხზვა არა მხოლოდ ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ ვაიქართველთა ჯგუფი ლაზ-მეგრელთა გაერთიანებას დაუშვებლად მიიჩნევდა და ქართველი მოღალატეების მიერ – **„მეგრელთა საქმის“** აგორებით მოწამლულ იქნა ბელადის განწყობილება. მეგრელთმოძულეთა ჯგუფმა, ნებით თუ უნებლიეთ დაამუხრუჭეს ხორცშესხმული იდეა საქართველოს სამომავლო ბედ-იღბალზე, მისი საბოლოო დასამარებით.

**გიორგი ხუფენია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# SOS! – პრეზიდენტი სტალინის ძეგლს კბენს!

მარადმოძრავი სამყაროს უთვალავსაუკუნოვანი ისტორია ჭეშმარიტად აღსავსეა უცნაური პარადოქსებით!

ასეთ პარადოქსთა შორის ყველაზე თვალშისაცემი პარადოქსია ოკეანისგაღმელი იანკების მარიონეტ პრეზიდენტის **"გამეფება"** ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში.

**"ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?"** ვინ მოსთვალოს რამდენი სისულელე ჩაიდინა საქართველოს **"გონებასუსტმა თევდორემ"**, ვარდების რევოლუციის **"დიდმა სარდალმა"** ქვეყნის **"სამეფო ტახტზე"** აღზევებიდან დღემდე?

მათ ჩამოთვლას ერთი სოლიდური სიდიდის სტატია არ ეყოფა! დაინტერესებულთ ვურჩევთ წაიკითხონ სტატიათა კრებული **"მესამე ძალა და "ფერადოვანი რევოლუციების" დასასრული"**!

ამ საგაზეთო პუბლიკაციაში კი **"ძეგლებთან მეომარი"** პრეზიდენტის ბოლო გმირობას შევეხებით – სტალინის ძეგლის დემონტაჟს გორის ცენტრში!

ამ დღისათვის ანტიქრისტე მარიონეტი ეტაპობრივად მოემზადა;

**– პირველი ეტაპი.** გამარჯვების პარკში საბჭოთა კავშირის გმირთა მემორიალის წაბილწვა – ბრინჯაოს ბარელიეფებისა და გვარების ამოფხეკვა, ამოკაწვრა, **"აორთქლება"**!

**– მეორე ეტაპი.** დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ ვაჟკაცთა მემორიალის აფეთქება ქუთაისში! ეს იმ 350.000 გმირის, მათი ოჯახების, ნაცნობ-მეგობრების სულში ჩაფურთხებაა, რომლებმაც ღვთის ბოძებული უმაღლესი მადლი – სიცოცხლე უდრტვინველად და უყოყმანოდ მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე! ეს სრულიად საქართველოს აბუჩად აგდებაა! ეს მთელი პროგრესული კაცობრიობის იდეალების თავხედურად წაბილწვაა!

**– მესამე ეტაპი** – აპოგეა! სტალინის ძეგლის დემონტაჟი! აფერუმ, შენს ვაჟკაცობას, პრეზიდენტო! შენი ცოლი და დედა, შენი შვილები, შენი თანაგუნდელები სიხარულით როკავენ და **"ვეფხისა და მოყმის"** ჰანგზე ღიღინებენ: **"ერთი შვილ მაინც გავზარდეთ, ძეგლებთან მეომარია!"**

ბ-ნო მიხეილ! თქვენთვის დამახასიათებელი არაადექვატური ფსიქოზების, უმწვავესი დემენციისა და კრეტინიზმის მიუხედავად, თქვენი და თქვენი გუნდის წევრები ვალდებული ხართ იცოდეთ – ვინ არის სტალინი! მოუკელით თქვენი ცოდვების სასჯელად საქართველოსათვის ღვთის მიერ მოვლინებული უმძიმესი და უსასტიკესი სტიქიისაგან სირაქლემისებურად თავის მალვას, უაზრო და უპრეცედენტოდ ხანგრძლივ უშედეგო კრუიზებს უცხო ქვეყნებში, კლოუნადას ნაციონალების მიერ მოწყობილ ბალაგანებში, დღესასწაულებსა და ტელეშოუებში ფაშისტურ პროპაგანდას, წაიკითხეთ მსოფლიოს პოლიტიკისა და აზროვნების გიგანტთა მოსაზრებები უდიდეს გენიოსზე:

**უინსტონ ჩერჩილი** – სტალინის იდეებით მოხიბლულმა აღნიშნა: **"თქვენ ისეთი საზოგადოების აშენებას აპირებთ, რომ მასში მხოლოდ ანგელოზებისათვის არის ადგილი! მეეჭვება, რომ მსოფლიოში ამდენი ანგელოზი მოიძებნოს!"**

**ანტონ იდენი** (ინგლისის პრემიერ-მინისტრი) – **"სამყაროს ყველა "ცოცხალი" პლანეტის უდიდეს პოლიტიკოსთა და მოაზროვნეთა კონფერენცია რომ გაიმართოს, დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული კანდიდატი სტალინია"!**

**ლენინი – "სტალინი სამოქალაქო ომის უპირველესი სარდალია! სადაც სტალინია, იქ გამარჯვებაა"!**

**დენიკინი** (ჰიტლერს): **"სტალინის დამარცხება შეუძლებელია! ნუ გაილაშქრებთ რუსეთზე, სანამ მას სტალინი უდგას სათავეში"!**

**თევდორე კერენსკი** – (სტალინის კლასობრივი მტერი, ესერი, რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე): **"სტალინმა ფერფლიდან აღადგინა რუსეთი, აქცია ზესახელმწიფოდ, გაანადგურა ჰიტლერი, გადაარჩინა რუსეთი და კაცობრიობა"!**

**ალექს დე ჟონზი** (ამერიკელი მწერალი, ისტორიკოსი): **"რომ არა სტალინი, აღარ იქნებოდნენ რუსები, მაგრამ ასევე აღარ იქნებოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები".**

**უილიამ ჰარიმანი** (ამერიკელი პოლიტიკოსი): **"სტალინი უფრო რეალისტი იყო, ვიდრე რუზველტი და ყველაზე ეფექტიანი სამხედრო ლიდერთა შორის".**

**ხეროსი ტურამავა** (იაპონელი მილიარდერი): **"სტალინის სიკვდილამდე თქვენ ჭკვიანები იყავით, მისი სიკვდილის შემდეგ კი ვითარება დიამეტრალურად შეიცვალა".**

სტალინის ფენომენი კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის იმპულსი და ორიენტირია. ცოფიანი პრეზიდენტი კი მის ძეგლს ქუსლებში კბენს, ქვეყნის სასწაულის იმპულსს კი სინგაპურში ეძებს!

**პოლინა ჟემჩუჟინამ,** ვიაჩესლავ მოლოტოვის ცოლმა, 1937 წელს რეპრესირებულმა, რეაბილიტაციის შემდეგ ხრუშჩოვს ასეთი **"სამადლობელი"** წერილი მისწერა: **"ამხანაგო პირველო მდივანო, როგორც ჩანს, თქვენ და თქვენი პოლიტბიურო ჭკუაზე შეიშალეთ. გულახდილად გეტყვით: თქვენ ყველა ერთად სტალინის ფეხსაცმლის შავ ლანჩადაც არ ღირხართ. როგორც ცომის გარეშე პურს ვერ გამოაცხობ, ასევე რევოლუცია და სოციალიზმი სტალინის გარეშე წარმოუდგენელია. მთელი მისი ცხოვრება მიმართული იყო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საკეთილდღეოდ: სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ამასთან ის არასდროს არ აძლევდა თავს ნებას, დაერღვია კანონი და პარტიის წესდება. მე მასთან სასაყვედურო არაფერი მაქვს".**

**მამა დიმიტრი დუდკო,** მღვდელი, მწერალი: **"სტალინი მყისეულად ჩამოყალიბდა გენიოსად. მას ამკობდა თავმდაბლობა, უბრალოება, ზნეობრივი კანონიერება. მე არ მესმოდა სტალინის და ჩემს ლექსში ვწერდი: "და თქვენ ამ ხალხის ჯალათად გთვლიდით"! ახლა კი მზად ვარ, სიკვდილის შემდეგ, ვთხოვო მას პატიება. არა, ის არ ყოფილა ჯალათი, მან ბევრის სიცოცხლე იხსნა. ისეთების, როგორიც იყვნენ შოლოხოვი, მას ხომ უკვე ხვრეტდნენ და მხოლოდ სტალინის დროულმა ჩარევამ გადაარჩინა. ასევე გადაარჩინა ბულგაკოვი, პასტერნაკი და სხვები. ეს ჩამონათვალი ძალზე მიდის და მე, ვინც სტალინის დროს ვიჯექი და ბრეჟნევის პერიოდშიც, მზად ვარ შევყვირო: "სტალინი ღვთივკურთხეული ბელადია!"**

ბატონო საქართველოს პრეზიდენტო, ვფიქრობ, თქვენი უმძიმესი ინტელექტუალური და ფსიქიატრიული პრობლემების მიუხედავად, რომლებზეც თქვენ არაერთხელ მიგითითეთ პრესით და პერსონალური ოფიციალური წერილებით, დასკვნების გაკეთება არ გაგიჭირდებათ სტალინის ფენომენის შესახებ. გენიოსის ძეგლის ნგრევას, სჯობს ღრმად ჩასწვდეთ მის უმდიდრეს თეორიულ და პრაქტიკულ მემკვიდრეობას თქვენ და თქვენი ოკეანისგაღმელი და ევროპელი რეჟისორები! მაშინ მსოფლიოს გადაუჭრელი პრობლემები გეომეტრიული პროგრესიის ტემპებით შემცირდება! და თუ თქვენ დასკვნების გაკეთება არ გიჭირთ, დააბრუნეთ ძეგლი ძველ ადგილზე! ეს თქვენ უფრო მეტად გჭირდებათ შელახული რეპუტაციის თუნდაც ნაწილობრივად აღდგენისათვის, ვიდრე გენიოსის ფენომენს! სტალინს მისი ძეგლის აღება-დადგმით არც რაიმე დააკლდება, არც რაიმე მოემატება! მან ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა მსოფლიოს პროგრესულ ძალთა გულებში და იგი იცოცხლებს, მანამ, სანამ იცოცხლებს მის მიერ ფაშისტური ჭირისაგან გადარჩენილი მსოფლიო!

ძეგლის ადგილზე **"ოკუპაციის მსხვერპლთა"** მუზეუმს ხსნით! უკეთესია ძეგლთან ახლოს გააკეთოთ! თანაც, თუ ობიექტურობაა, ობიექტურობა უნდა იყოს: უწოდეთ მუზეუმს იმპულსური პრეზიდენტის იმპულსური გადაწყვეტილებების მსხვერპლთა მუზეუმი! თქვენი ამბავი რომ ვიცი, იტყვით: **"წადი კოჭი გააგორეო!"** არა უშავს! თქვენი მსგავსი არსებებისგან წიხლი საწყენი არაა, სატკენია! არჩევნების შემდეგ კი ამ მუზეუმს, მის მსგავს სხვა დემაგოგიურ მუზეუმებთან და სტენდებთან ერთად ჩვენ მოვნათლავთ! თქვენ და თქვენსავით უვიც დემაგოგებს კი მოკლევადიან პროფტექნიკურ კურსებს გავუხსნით ისტორიული ცოდნის უმწვავესი დეფიციტის შესავსებად!

ისტორია ბალაგანი არაა, ბატონო პრეზიდენტო! არც დემაგოგთა და ცირკის კლოუნთა სათამაშო ადგილია! ეს თქვენ არ იცით! საქართველოს ისტორიის ათვლას 2003 წლის 23 ნოემბრიდან რომ იწყებთ, იცით თუ არა თქვენ და თქვენმა ოკეანისგაღმელმა რეჟისორებმა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი ადრეულ ნეოლითში, 12.000 წლის წინ საქართველოში დაირწა პირველად და გერმანელი მეცნიერები თეთრკანიანთა რასას, სრულიად დასაბუთებულად, კავკასიურს რომ უწოდებენ? გააზრებული გაქვთ თუ არა დმანისის აღმოჩენები, რომლებიც მოწმობენ, რომ დედამიწაზე მაიმუნის გაადამიანების პროცესი 2 მილიონზე მეტი წლის წინ, ადრეულ პალეოლითში, საქართველოში დაიწყო, თუმცა ზოგიერთი მათგანის, მათ შორის თქვენი ადამიანად ქცევა დღემდე ვერ მოხერხდა, ბუნების თუ აღზრდის მანკიერების გამო! სამაგიეროდ ინტენსიურად მიდის პირუკუ პროცესი – პრეზიდენტის გამაიმუნების პროცესი! ამ პროცესში პრეზიდენტს ტოლს არ უდებს მისი გუნდის არცერთი წევრი! სტალინთან მიმართებაში ასწლოვანი მუხის ქვეშ მოღრუტუნე ღორს გაუსწარით უმადურობაში: ღორი რკოთი გაძღომის შემდეგ მუხის ფესვებს ღრღნის, თქვენ კი გენიოსის ძეგლი ქუსლებთან გახერხეთ და პირქვე დაამხეთ! სწორედ მოიქეცით: მოვა დრო და თქვენ და თქვენი თანამოაზრეები რამდენიმეკილომეტრიან რიგს დააყენებთ თქვენს მიერ კბენისგან გადარჩენილ მის ერთადერთ ადგილზე საკოცნელად და ბოდიშის მოსახდელად!

ყველა ყველა და კულტურის მინისტრად რურუას აღზევება რამ მოგაფიქრებინათ, ბატონო პრეზიდენტო? კაცი რომ ფაშიზმს კომუნიზმისაგან, ჰიტლერს კი სტალინისაგან ვერ არჩევს, შეიძლება მინისტრი იყოს? ასეთებს ჩვენ ბატსაც არ ვანდობდით მოსავლელად! და საერთოდ, პასუხსაგებ თანამდებობაზე მინიმუმ ისეთი პიროვნება უნდა გაუშვა, რომელსაც წარსულში ორი ბატი მაინც გაუზრდია და მომავალში თავად არ იქცევა მესამე ბატად. ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში თქვენ ეს ვერ დაამტკიცეთ! ჯიბისა და **"სკამის"** ოპოზიციის ამაზრზენი სისუსტის, სხვა პარტიების პოლიტიკური სიბეცის გამო მაინც **"გაიჯეჯილეთ"**! მომდევნო არჩევნებში **"გაჯეჯილების"** არავითარ შანსს არ მოგცემთ არც თქვენ, არც თქვენს თანამოაზრე ბატისტვინა თანაპარტიელებს! აქედანვე შეეგუეთ ამ აზრს, თორემ, მომავალი არჩევნების შემდეგ ფაქიზად დაუთოებული **"გალსტუკის"** კამეჩისებური ღეჭვაც ვერ გიშველით მოწოლილი ისტერიკის გასაქარვებლად! ვერც ბროწეულის გამჭოლი ოყნა – კინოფილმ **"შერეკილების"** მეთოდიკით! ამდენ ბროწეულს საქართველოში ვერ იშოვნით! ვერც აზერბაიჯანში! ვერც სომხეთში! ირანი არ მოგაწვდით გასაგები მიზეზის გამო!

თქვენ და თქვენს სხვა თანაგუნდელებს კუდებს უქიცინებენ კახა ლომაიას მიერ **"რეფორმირებული"** უნივერსიტეტის ფინია პროფესორები და სტუდენტები: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა: **"კარგი იყო სტალინი საერთოდ არ დაბადებულიყო"**-ო. ასეთი კაცის რექტორობაც დიდი დანაშაულია: მახინჯდება და იწამლება ცოდნას და ჭეშმარიტებას მოწყურებული ახალგაზრდობა, ავადდება ერის სული! იდეოლოგიური მოწამვლის საშიშ სიმპტომებს ავლენენ სტუდენტები: ერთმა გოგონამ განაცხადა: **"მრცხვენია, სტალინის ძეგლს რომ ვუყურებ გორის ცენტრში!"** აი, ასეთია თქვენს მიერ **"რეფორმირებული"** განათლება და კულტურა, ბატონო პრეზიდენტო სააკაშვილო!

ახლახანს იანკების ემისარმა, ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა რიხიანად განაცხადა: **"მე მიყვარს საქართველო!"** გვჯერა: იანკებს, შავი მაგიის და ყვითელი სატანის მონებს უყვართ საქართველო! უყვართ: გავლენის სფეროდ, მათთვის საოცნებო მესამე მსოფლიო ომის კერად, მოსკოვზე შეტევის პოლიგონად, 5-მილიარდიანი მსოფლიოს ერთ მილიარდამდე დაყვანის სასტარტე წერტილად! **"ძეგლებთან მეომარი"** პრეზიდენტი სააკაშვილი ფინიასავით შესციცინებდა საქართველოზე **"შეყვარებულ"** ემისარს!

ახლოვდება მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები! ამ არჩევნებში გამარჯვების არცერთ შანსს არ დავუტოვებთ არც ანტიქრისტე პრეზიდენტს, არც მის თანამოაზრეებს! არც მის ოკეანისგაღმელ და ევროპელ რეჟისორებს!

პრეზიდენტმა და მისმა თანამოაზრეებმა საბოლოოდ ამოწურეს საქართველოს პროგრესულ ძალთა ნდობის ლიმიტი და გაინაღდეს მყარი ადგილი ისტორიის ნაგავსაყრელზე:

*"პრეზიდენტო, რატომ ხერხავ*
*ქრისტეს წმინდა ძეგლს?*
*ისტორია სანაგვეზე*
*მოისვრის შენს ძეგლებს!"*

**დიმიტრი კანანელი,**

**პროგრესულ ძალთა კონსოლიდაციის საორგანიზაციო კომიტეტის კოორდინატორი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები **"მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი"** და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ **"მონსტრებს"** ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის **"გრანდები"**, რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

**ანტონიო კარბახალი**

დაიბადა 1929 წლის 7 ივნისს მექსიკაში.

თამაშობდა მექსიკის კლუბებში **"ესპანია"** და **"ლეონი"**.

1966 წელს ინგლისში გამართულ საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატზე ანტონიო კარბახალმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგი ჯერჯერობით ერთადერთი ფეხბურთელია მთელ მსოფლიოში, რომელიც ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა.

ტანმაღალი, უაღრესად მოძრავი და ფენომენალური რეაქციის მქონე მეკარე კარბახალი მექსიკის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა 1950 წელს – ბრაზილიაში, 1954 წელს – შვეიცარიაში, 1958 წელს – შვეციაში, 1962 წელს – ჩილეში და 1966 წელს – ინგლისში. სწორედ ეს ჩემპიონატი გახლდათ მისთვის უკანასკნელი, როგორც მოთამაშე ფეხბურთელისათვის. უფრო ზუსტები და ლოგიკურები რომ ვიყოთ, უნდა დავაფიქსიროთ, რომ ანტონიო კარბახალის დებიუტი მექსიკის ნაკრებში შედგა ჯერ კიდევ 1948 წელს, როცა ლონდონში გაიმართა ოლიმპიური თამაშები. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მასთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა საფეხბურთო კლუბმა **"ლეონმა"**, სადაც კარბახალი საფეხბურთო კარიერის დასასრულამდე – 1966 წლამდე დიდი წარმატებით თამაშობდა.

მოგვიანებით, საფეხბურთო სამყაროში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და მიღწეული წარმატებებისათვის, ანტონიო კარბახალი ფიფას მიერ დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

**კარეკა**

დაიბადა 1960 წლის 5 ოქტომბერს, თამაშობდა კლუბებში **"გუარანი", "სან-პაულუ"** (ბრაზილია), **"ნაპოლი"** (იტალია), **"ჰიტაჩი"** (იაპონია), **"სანტოსი"** (ბრაზილია).

კარეკა, რომელიც ბრაზილიის შტატ კამპინასში დაიბადა და იქვე ეზიარა ფეხბურთს, 80-90-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლებოდა მსოფლიოს ფეხბურთის სამყაროში. 1987/1988 წლების საფეხბურთო ჩემპიონატში სწორედ კარეკას დამსახურება გახლდათ ის ამბავი, რომ შედარებით ნაკლებრეზულტატიანმა და მორიდებულმა საფეხბურთო გუნდმა **"გუარანმა"** ბრაზილიის ეროვნულ ჩემპიონატში გაიმარჯვა. სწორედ ამის შემდეგ შეიძინა ეს სწორუპოვარი ფეხბურთელი ბრაზილიის ლიდერმა **"სან პაულუმ"**, რამაც ახალი ასპარეზზე გაუხსნა მას გზა.

სამწუხაროდ, მოსამზადებელ ეტაპზე ვარჯიშისას მიღებული სერიოზული ტრავმის გამო კარეკას 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ, 1986 წლის ჩემპიონატზე მან სრული შესაძლებლობები გამოავლინა. მექსიკაში მან ხუთი გოლი გაიტანა და ბრაზილიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად იქნა აღიარებული. ამის შემდეგ იგი იტალიის **"ნაპოლმა"** შეიძინა, სადაც დიეგო მარადონასთან ერთად თავდასხმის განუმეორებელი დუეტი შექმნა.

სწორედ ამ ორი ფეხბურთელის დამსახურება გახლდათ, რომ **"ნაპოლიმ"** 1989 წელს უეფას თასი მოიპოვა, 1990 წელს კი იტალიის ჩემპიონი გახდა.

**ჯონი კარი**

დაიბადა 1919 წლის 23 თებერვალს ირლანდიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბ **"მანჩესტერ იუნაიტედში"** (ინგლისი).

ჯონი კარი მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი უნივერსალური ფეხბურთელი გახლდათ. მას შეეძლო წარმატებით ეთამაშა დაცველად, ყოფილიყო ასევე წარმატებული ნახევარმცველი, რისხვად მოვლენოდა მოწინააღმდეგის გუნდს თავდამსხმელის ამპლუაში და რამდენიმე მატჩში ასევე წარმატებით შეცვალა ტრავმირებული მეკარე. ვერ ვიტყვით, რომ იგი მეტად სწრაფი სპორტსმენი გახლდათ, მაგრამ ამ დანაკლისს შესანიშნავად ავსებდა ფილიგრანული საფეხბურთო ტექნიკით.

1944 წელს ჯონი კარი დუბლინის ახალგაზრდულმა გუნდმა შეიძინა 200 ფუნტ სტერლინგად – ეს იმ დროისათვის საკმაოდ ხელსაყრელი ფინანსური გარიგება გახლდათ. ომისშემდგომი პირველი წლების განმავლობაში კარი **"მანჩესტერ იუნაიტედის"** კაპიტანი გახლდათ, მისმა გუნდმა თითოჯერ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა და თასი და რამდენჯერმე მეტად ახლოს იდგა ამ სანუკვარ მიზანთან.

კარი 37-ჯერ თამაშობდა ინგლისის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში და გამოდიოდა ევროპის ნაკრების შემადგენლობაში, როცა მან 1947 წელს გამართა მატჩი ინგლისის ნაკრებთან.

მოგვიანებით კარი იყო საფეხბურთო გუნდების **"ბლეკბერნისა"** და **"ევერტონის"** მწვრთნელი.

გიორგი ჯალაღანია



## იუმორი

* * *

ფსიქიატრთან:

– ექიმო, სიზმარში მაგრად ვიტანჯები. ვხედავ, ჩემს წინ კარია წარწერით. ვაწვები, ვაწვები, მაგრამ არ იღება!

– კარს რა აწერია?

– "შენსკენ მოსწიე".

* * *

ორი დაქალი საუბრობს:

– რა სიმპათიურია ჩვენი ახალი თანამშრომელი გოგონა, რა ეშხიანია, ტანადი... სწრაფია, სწრაფი... ყველაფერს ჩქარა აკეთებს, ერთ წუთში.

– ეჰ, ეგ ნაკლი რომ არ ჰქონდეს, ვერავინ აჯობებდა. სულ ჩქარა, სულ ჩქარა...

* * *

– ჩემი ძაღლი სახლში რომ მოდის, ზარს თვითონ რეკავს ხოლმე.

– შენი ძაღლი ისეთი მამაძაღლია, რომ თურმე სხვის კარებზეც რეკავს ზარს.

– შენ რა იცი?

– ჩემმა ძაღლმა მითხრა.

* * *

– წეღან დაგინახე, ვაჟბატონო, როგორ ამოდიოდი ღვინის სარდაფიდან! – უყვირის მიხოს ცოლი.

– მა, სულ იქ ხომ არ დავრჩებოდი? – ლუღლუღებს მთვრალი მიხო.

* * *

– მიტო, სად იყავი დილას, ჯო, გეძახდი და ვერ გაგაგონე!

– რას გამაგონებდი, საუზმეზე "სუხარსა" ვჭამდი...

# ჯემალ ხარებავა 60 წლისაა



ჯემალ ხარებავა დაიბადა 1950 წლის 25 ივლისს, ქალაქ ზუგდიდში. 1967 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის გუდაუთის №I საშუალო სკოლა. 1970 წელს ჩაირიცხა მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1971-1973 წლებში მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. 1976 წელს წარმატებით დაამთავრა მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამავე წლიდან მუშაობს სოხუმის მე-17 საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1977-1981 წლებში მუშაობდა სოხუმის მე-16 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1981 წლიდან მუშაობას აგრძელებს მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ლაბორანტად და თან კითხულობს ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგად კურსში. მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის გაყოფის შემდეგ, ის რჩება ქართულ უნივერსიტეტში ზემოთხსენებული კათედრის უფროს მასწავლებლად. ჯემალ ხარებავა ამ პერიოდის ყველა მოვლენების აქტიური მონაწილეა. აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის განდევნის შემდეგ, ის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის მოსკოვში (1994-98 წწ.). მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ განაგრძობს მუშაობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ოთხი მონოგრაფიის, ექვსი წიგნისა და ოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი განსაკუთრებული კვლევის საგანს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა და დოკუმენტური პროზა.

ამჟამად ის ხელმძღვანელობს ქართულ-უკრაინულ საერთაშორისო აკადემიას, რომელსაც კავშირები აქვს უკრაინის, ჩეხეთის, პოლონეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან. 2010 წლის სექტემბერში მიწვეულია ოქსფორდის უნივერსიტეტსა და სინგაპურში ლექტორთა საერთაშორისო შეხვედრაზე. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

გაზეთი **"ილორი"** გულითადად ულოცავს ბატონ ჯემალს დაბადებიდან 60 წელს და უსურვებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!

## აშშ-ს განზრახული აქვს მიწასთან გაასწოროს ირანი

ირანის მიწისქვეშა ნაგებობებისა და გვირაბების გასანადგურებლად ამერიკელებმა კალიფორნიიდან 387 ბომბი გადაიტანეს ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო-გარსიას კუნძულზე. ამას იუწყება გაზეთი **Sunday Herald**. ეს ფეთქებადი ყუმბარები განკუთვნილია **"დაუმორჩილებელი"** ირანისათვის, რომელიც არასგზით არ თმობს თავის ბირთვულ პროგრამას.

**Bu-110** და **Bu-1** ტიპის ყუმბარები გამოიყენება მიწაში ღრმად მდებარე ობიექტების გასანადგურებლად. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდი ბრიტანეთის საკუთრებაში არსებულ დიეგო-გარსიას კუნძულს ამერიკელები 1971 წლიდან იყენებენ სამხედრო ბაზად და იქ განთავსებულია **"სტელსის"** ტიპის თვითმფრინავები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანს მართლაც რეალური საფრთხე ემუქრება. გამოთქმულ ვარაუდს აძლიერებს ისიც, რომ ამერიკელებმა აღნიშნული თვითმფრინავები კარგა ხანია გადააკეთეს ამ ტიპის ბომბების ტრანსპორტირებისა და საბრძოლოდ გამოყენებისათვის.

როგორც ლონდონის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო კვლევის ცენტრის დირექტორი დენ პლეში აღნიშნავს, ამერიკულ თვითმფრინავებს რამდენიმე საათის განმავლობაში ირანში 10.000 სამიზნის განადგურება შეუძლიათ. ამერიკელებმა კუნძული დიეგო-გარსია უკვე ორჯერ გამოიყენეს ერაყის წინააღმდეგ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ობამა დამოუკიდებლად მიიტანს იერიშს ირანზე და ოპერაციებში არ ჩართავს ისრაელს. ამ ბომბების მიტანა ირანის საზღვრებთან სერიოზულ პრობლემას წარმოქმნის. **"აშშ აგრძელებენ ომის რიტორიკით მოქმედებას"** – ამბობს შოტლანდიელი ექსპერტი ალან მაკინონი. ამასვე ადასტურებს ჰილარი კლინტონის სიტყვებიც, რომელმაც განაცხადა, რომ ირანზე დაწოლა უნდა გაძლიერდეს.

თავად ამერიკელ სამხედროებს ამ საკითხზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

გაზეთი "ილორი" სამძიმარს უცხადებს
ბატონ ვახტანგ გაბელიას დედის
**ვერა ბრიგოლაიას**
გარდაცვალების გამო

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ამბროლაურის ქუჩა
№166/5
სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
38-41-97
893-51-01-71
899-34-37-27